www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 5 აგვისტო, 2009 წელი. №173 (2211) | ფასი 50 თეთრი


"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
***2424**

ბარაკ ობამა 48 წლის იუბილეს აღნიშნავს

A4



გიორგი ოვაშვილი - პარიზის კინოფესტივალის რჩეული, ნიჭიერთა ათწლედი კი იუბილარი

A5



ქალები მაღლა, ვაჟები - დაბლა

A7




24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

**www.24saati.ge**

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი


# ბაიდენის შენიშვნები გასათვალისწინებელია

დევიდ ჯ. სმიტი




*ბაიდენის შენიშვნები დებატების გამართვას იმსახურებს, მაგრამ ამას ისეთი ქარიშხალი მოჰყვება, რომელსაც ცოტა თუ ექნება საერთო ინტელექტუალურ დისკუსიასთან.*

უკრაინასა და საქართველოში ვიზიტების შემდეგ, შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ვაშინგტონში დაბრუნებისთანავე, "უოლ სთრით ჯორნალში" გამოქვეყნებულმა სტატიამ, რომელიც ბაიდენს პოლიტიკურ დისკუსიებში ჩართვას უქადის, დიდი გამოხმაურება ჰპოვა. როგორც ვიცე-პრეზიდენტმა გამოცემა "უოლ სთრით ჯორნალის" ჟურნალისტ პიტერ შპიგელს განუცხადა, "უფსკრულის პირას" მისული რუსული ეკონომიკა "რთული და გათვლილი გადაწყვეტილებების" მიღებას დააჩქარებს. ამის ერთ-ერთი შედეგი, ბაიდენის თქმით, ის არის, რომ "ჩვენ (შეერთებული შტატები) ვერ ვაფასებთ იმ ძალას, რასაც ვფლობთ." მართლაც, ვიცე-პრეზიდენტის გამოსაფხიზლებელ და ობიექტურ შეფასებებში ბევრი რამ არის ისეთი, რაც დებატების გამართვას იმსახურებს, მაგრამ ამას ისეთი ქარიშხალი მოჰყვება, რომელსაც ცოტა თუ ექნება საერთო ინტელექტუალურ დისკუსიასთან.

"რეალობაა ის, რომ რუსები ერთ ადგილს ტკეპნიან. მათი მოსახლეობის რაოდენობა მცირდება, ეკონომიკა განადგურების პირას დგას და ისეთი საბანკო სექტორი და ინფრასტრუქტურა აქვთ, რამაც არა მგონია, შემდგომ 15 წელიწადს გაუძლოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აგრესორი თვალთმაქცობს

დიმიტრი ავალიანი

*ომის წლისთავის მოახლოებასთან ერთად, მოსკოვიდან თავის მართლება და, იმავდროულად, საქართველოს მიმართ ახალი ბრალდებები ისმის. რუსეთი ცდილობს იმის ახსნას, რატომ აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ამ დროს ედუარდ კოკოითი არა დამოუკიდებლობის, არამედ რუსეთის შემადგენლობაში შესვლის სურვილს გამოთქვამს. სეპარატისტთა ლიდერი მოსკოვს ახალ შეიარაღებასაც სთხოვს. ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსი მესაზღვრეები და სეპარატისტული ძალები საბრძოლო მზადყოფნაში არიან, თუმცა მოსკოვიც და ცხინვალიც პროვოკაციებში თბილისს ადანაშაულებენ.*

რუსეთის საგარეო უწყება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე გადაწყვეტილების მიღების მიზეზებს განმარტავს. **"ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კავკასიაში მცხოვრები ყველა ხალხის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო,"** - განაცხადა გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა.

მისი თქმით, რუსეთის გადაწყვეტილება არც **"პრეცედენტულია"** და გამონაკლისსაც არ წარმოადგენს. **"ერთი რამ ნათელია - 2008 წლის აგვისტოში სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდით,"** - განაცხადა კარასინმა.

მისი თქმით, რუსეთი, როგორც გაერო-ს უშიროების საბჭოს წევრი, **"პატივისცემით ეკიდება გაერო-ს წესდებას,"** რომელშიც აღნიშნულია სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის და ერთა თვითგამორკვევის პრინციპები. **"ჩვენს ცვალებად სამყაროში ორივე ცნებას აქვს არსებობის უფლება,"** - განაცხადა რუსმა დიპლომატმა. შესაბამისად, კარასინის აზრით, პრიორიტეტების განსაზღვრისას აუცილებელია **"უმაღლესი ფასეულობის - ადამიანთა სიცოცხლის უფლების"** გათვალისწინება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აფეთქებები მძიმე კონტექსტში

დათო გამისონია

*საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე სოფლებში მომხდარი აფეთქებების შესახებ, ფაქტობრივად, ყოველ დილით იუწყება. ოკუპირებული რეგიონის ადმინისტრაციული საზღვრის სიახლოვეს მდებარე სოფლებში ვითარების დაძაბვის გამო ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის სახელით განცხადება გამოაქვეყნა შვედეთმა, რომელიც ამჟამად ევროგაერთიანებას თავმჯდომარეობს.*

გუშინ დილით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ცნობა, რომლის თანახმად, 3 აგვისტოს 21:30 საათზე რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან ცეცხლი გაუხსნეს სოფელ ფლავისმანში განლაგებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგუშაგოს. შსს-ს ინფორმაციით, სროლა, სავარაუდოდ, ყუმბარმტყორცნიდან განხორციელდა, 2 ჭურვი საგუშაგოს მოშორებით აფეთქდა, ერთი კი - უშუალოდ მის სიახლოვეს. აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია. ცხინვალის მარიონეტული ხელისუფლების მიერ გავრცელებულ ცნობაში კი აღნიშნულია, რომ 3 აგვისტოს 22:05 საათზე ქართულმა მხარემ სოფელ ფლავისმანიდან ადმინისტრაციული საზღვრის ოსურ მხარეს მდებარე სოფელ ორთევის მიმართულებით ყუმბარმტყორცნიდან სამჯერ ისროლა. ორივე სოფელი ცხინვალის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს.

შეერთებულმა შტატებმა აღნიშნულ საკითხზე ქართულ და რუსულ მხარეებთან აქტიური კონსულტაციები გამართა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი ფილიპ ქროული აცხადებს: **“არ გვაქვს იმის მტკიცებულება, რომ საზღვარზე სროლა მართლაც იყო. ჩვენ დავუკავშირდით ორივე მხარეს და შევამოწმეთ მექანიზმები, რომლებიც ლოკალურად მაქსიმალურად სწრაფად მოქმედებს.”**

გაგრძელება A3 გვერდზე

## პატრიცია ფლორმა გალის რაიონში რუსული შეირაღების შესახებ ინფორმაცია მიიღო

საქართველოში გერმანიის ელჩი პატრიცია ფლორი გალის რაიონში იმყოფებოდა. ელჩი ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვართან მივიდა და რუსული შეირაღების შესახებ მიიღო ინფორმაცია. მოგვიანებით ის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის გუბერნატორის მოადგილეს შეხვდა და გალის რაიონში არსებულ დაძაბულ ვითარებაზე ისაუბრა. გერმანელ დიპლომატთან შეხვედრაზე ქართულმა მხარემ აფხაზეთში ევროკავშირის მონიტორების შეშვების საკითხი კიდევ ერთხელ დააყენა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ლეიბორისტების მტკიცებით", გიორგი ტუღუში გიგი წერეთლის დეიდაშვილია

"ლეიბორისტული პარტიის" მტკიცებით, ახლად არჩეული სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში პარლამენტის ვიცე-სპიკერ გიგი წერეთლის დეიდაშვილია. ამის შესახებ პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა. "გიორგი ტუღუში არის უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის გიგი წერეთლის დეიდაშვილი და ამ პოსტზე მისი დანიშვნა ქვეყანაში სახალხო დამცველის ინსტიტუტის დაშლას გამოიწვევს. ქვეყანაში, სადაც ამდენი უსამართლობა, პოლიტიკური დევნა, უკანონო დაჭერები ხდება, არ შეიძლება, სახალხო დამცველად უმრავლესობის კანდიდატი დაინიშნოს," - განაცხადა გუგავამ. მისივე ვარაუდით, გიორგი ტუღუში ხელისუფლების სახალხო დამცველი იქნება და სწორედ მის სასარგებლოდ იმუშავებს. "ლეიბორისული პარტიის" პოლიტიკური მდივანი აღნიშნულ ფაქტზე რეაგირებისკენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახალხო დამცველებს მოუწოდებს.

ახლად არჩეული სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში პარლამენტის ვიცე-სპიკერ გიგი წერეთელთან ნათესაურ კავშირს უარყოფს. "გიგი წერეთელთან არანაირი ნათესაური კავშირი არ მაქვს. ეს აბსოლუტური სიცრუეა. როგორც ვიცი, მას მართლაც ჰყავს ახლო ნათესავი გიორგი ტუღუში, თუმცა ის მგონი 10 წლისაა," - აცხადებს ახლად არჩეული სახალხო დამცველი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "სააკაშვილის უმრავლესობა და სააკაშვილის უმცირესობა შუალედური არჩევნების გადადებაზე იმიტომ შეთანხმდნენ, რომ გამარჯვების იმედი არ ჰქონდათ"

"მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერ ზურაბ ნოღაიდელის შეფასებით, "სააკაშვილის უმრავლესობა და სააკაშვილის უმცირესობა შუალედური არჩევნების გადადებაზე მხოლოდ იმიტომ შეთანხმდნენ, რომ მასში გამარჯვების იმედი არ ჰქონდათ."

"სააკაშვილის უმრავლესობამ და სააკაშვილის უმცრესობამ დანიშნული არჩევნების გადატანის შესახებ იმის გამო მოილაპარაკეს, რომ დაინახეს, არჩევნებში ვერ მოიგებდნენ. ეს უპრეცედენტო გადაწყვეტილებაა, რომელიც შეიძლება მომავალშიც განმეორდეს ყველა იმ შემთხვევაში, როცა სააკაშვილის უმრავლესობა და სააკაშვილის უმცირესობა არჩევნების მოსაგებად მზად არ იქნებიან," - განაცხადა ნოღაიდელმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე და აქვე განმარტა, რომ მისი მოძრაობა შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისთვის საჭირო ყველა პროცედურას მაინც გაივლის.

ამასთან, ნოღაიდელს აინტერესებს, "ცენტრალური საარჩევნო კომისია შუალედური არჩევნების გადადებას რა სამართლებრივ გამართლებას მოუძებნის."

"ჩვენ ამ არჩევნებში მხოლოდ ერთი მიზნით ვაპირებდით მონაწილეობას - ხალხისთვის დაგვენახებინა, რომ ამ ვერაგი, უსამართლო და ლაჩარი ხელისუფლების დამარცხება არჩევნების გზით შესაძლებელი იყო. "მოძრაობა - სამართლიანი საქართველოსთვის" შუალედურ არჩევნებს სამივე ოლქში მოიგებდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამი ხმა პარლამენტში არაფერს შეცვლიდა," - განმარტა ნოღაიდელმა. საპარლამენტო მხარეებს შორის მიღებული გადაწყვეტილებით, შუალედური არჩევნები 27 სექტემბერს აღარ შედგება და მხოლოდ მაშინ ჩატარდება, როცა საარჩევნო კოდექსი დაიხვეწება. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ზურაბ აბაშიძე: "ქუჩის აქციები პოლიტიკური პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ არა ერთადერთი"

**თამარ ხორბალაძე**

*თბილისში პოლიტიკურმა ტემპერატურამ დაიწია. ოპოზიცია საპროტესტო აქციების შედეგებზე მსჯელობს. ნაწილი რეგიონებს სტუმრობს, სხვები ძალებს საშემოდგომოდ ზოგავენ. დღეს პარტიის პოლიტიკურ გეგმებზე "24 საათს" ეგრეთ წოდებული ალასანიას პარტიის - "ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატების" წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე ესაუბრება:*

**- ბატონო ზურაბ, აქციები დასრულდა, რა ხდება დღეს? შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ოპოზიციას ტაიმ-აუტი აქვს გამოცხადებული?**

- სხვებზე ვერ გეტყვით, ჩვენ კი, როგორც იცით, ვაქტიურობთ. 16 ივლისს პარტია დავაფუძნეთ და საზოგადოებას ჩვენი პოლიტიკური პლატფორმა გავაცანით. ამჟამად ირაკლი ალასანია რეგიონებშია გასული, თითქმის ყველა სოფელი მოიარა. გვინდა, ხალხისგან გავიგოთ, რას ელიან ჩვენგან, რა პრობლემები აქვთ გადასაჭრელი.

**- რეგიონებში თქვენი აქტიური გასვლა ნიშნავს თუ არა იმას, რომ დაწყებულია მზადება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის?**

- ნუ დავარქმევთ ამას არჩევნებისთვის მზადებას. ეს პოლიტიკური საქმიანობაა, რომელიც მხოლოდ არჩევნებზე არ არის დამოკიდებული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუცილებელია საზოგადოებასთან ურთიერთობა, მათი აზრის გაგება ნებისმიერ მომენტში, მიუხედავად არჩევნების თარიღისა.

**- შუალედურ არჩევნებში - ოზურგეთისა და ჩუღურეთის ოლქებში აპირებთ მონაწილეობას?**

- შუალედური არჩევნები არ არის ჩვენი პრიორიტეტი. ჩვენ ვთქვით, რომ მივიღებთ მონაწილეობას ყველა არჩევნებში, რომელიც ხელისუფლების ცვლილებას უკავშირდება, იქნება ეს საპრეზიდენტო არჩევნები, საპარლამენტო თუ ადგილობრივი. თუმცა, ამისთვის აუცილებლად უნდა შეიცვალოს საარჩევნო გარემო. უნდა შეიცვალოს საარჩევნო კანონმდებლობა და ამ პროცესს უნდა გაემიჯნოს პოლიციური რეპრესიული მანქანა. სხვათა შორის, ამის აუცილებლობაზე აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის მხრიდანაც იყო საუბარი. ჩვენ საარჩევნო გარემოს შეცვლის გარეშე არჩევნებში მონაწილეობას არ ვაპირებთ.

**- ხედავთ თუ არა დღეს მომავალი გაზაფხულისთვის ანუ ადგილობრივი არჩევნებისთვის საარჩევნო გარემოს შეცვლის ნიშნებს?**

- ჯერჯერობით ვერ ვატყობ, რომ ამ კუთხით გარემო იცვლებოდეს. მაგრამ ამ მიმართულებით ხელისუფლებასთან საუბარი, დიალოგი უნდა განვითარდეს.

**- დღეს დიალოგი მიმდინარეობს?**

- ამ წუთას ვერ ვიტყვით, რომ დიალოგი მიმდინარეობს. მაგრამ შესაძლებელია, რომ დიალოგი ნებისმიერ დღეს შედგეს. ჩვენ გვაქვს ჩვენი ხედვები ქვეყნის მოწყობის გეგმაზე, საარჩევნო სისტემაზე, თვითმმართველობის ინსტიტუტზე და ამ ხედვებს ხელისუფლებას მივაწვდით. ეს ხედვები ადრეული შემოდგომისთვის უკვე კონკრეტულ ნაბიჯებზე იქნება გაწერილი - სად, რა და როგორ ვითარებაში უნდა გაკეთდეს და ჩვენ მათ საზოგადოებას გავაცნობთ.

**- დღევანდელ გადასახედიდან როგორ აფასებთ საპროტესტო ქუჩის აქციებში თქვენი ჩართვის გადაწყვეტილებას? როგორ აფასებთ მათ შედეგს?**

- მიმაჩნია, რომ ჩვენი ნებისმიერი გადაწყვეტილება ადეკვატური იყო იმ დროისა და ვითარების, როცა ის იყო მიღებული. ჩვენ არ გვქონია გადაჭარბებული მოლოდინები. ჩვენ არსებულ შედეგზე ვიყავით ორიენტირებულნი. ქუჩის აქციები პოლიტიკური პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ - არა ერთადერთი.

**- ამ დღეებში ოპოზიციის წარმომადგენლები ისევ ალაპარაკდნენ იმაზე, რომ შემოდგომისთვის ოპოზიცია დიდ ალიანსში უნდა გაერთიანდეს. პრინციპში, თქვენ უკვე გაქვთ ალიანსი "რესპუბლიკელებთან" და "ახლებთან", თუმცა იმასაც ამბობენ, რომ საარჩევნოდ შესაძლოა, "ახლები" და ალასანიას გუნდი ერთ საარჩევნო სიაში ველარ მოხვდნენ. ხომ არ ემუქრება ალიანსს დაშლის საფრთხე?**

- ალიანსს ჯერჯერობით არანაირი საფრთხე არ ემუქრება. ჩვენ კოლეგიალური ურთიერთობები გვაქვს და პოლიტიკურ პროცესებშიც ამ ალიანსით ვმონაწილეობთ. რაც შეეხება არჩევნებს - საარჩევნო სიებისა და არჩევნებში მონაწილეობის ფორმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება არჩევნების დანიშვნის მომენტისთვის არსებული ვითარების შესაბამისად მოხდება.

# დამიცავით, ბატონო პრეზიდენტო!

ბატონო პრეზიდენტო, მოგმართავთ თქვენი ერთი გამოსვლით გათამამებული. თქვენ ბრძანეთ: ნურავის ექნება ილუზია, რომ ვინმეს ჟურნალისტებს დავატერორებინებო. ტერორი ჩემს შემთხვევაში გადაჭარბებულია, მაგრამ დაცვა ნამდვილად მჭირდება. მეც ერთი რიგითი ჟურნალისტი ვარ, რომელიც თავის მოვალეობას, ავად თუ კარგად, ასრულებს, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ მაინც. ჩემს მოვალეობაში არ შედის პოლიტიკური საკითხების გაშუქება (ეს ჩემი არჩევანია), შესაბამისად, არანაირ ზეწოლას არ განვიცდი პოლიტიკური პარტიებისგან, თუმცა, ასე მგონია, ჩვენი პოლიტიკური სპექტრის შემოტევების მოგერიება უფრო გამიადვილდებოდა, ვიდრე გაუთავებელი ხვეწნა-მუდარა სახელმწიფო სტრუქტურების ამა თუ იმ წარმომადგენელთან. საქმე ეხება საჯარო ინფორმაციის მოპოვებას, რომელიც კანონითაა დადგენილი და განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. სამწუხაროდ, ასე არ ხდება. ამისდა მიუხედავად, სახელმწიფო დაწესებულებებში სტუმრობისას, როგორც მრწამსს, ჯიუტად ვიმეორებ საყურადღებო ჩანაწერს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან: "საჯარო დაწესებულება ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა" (თავი III, მუხლი 40.).

თავის დროზე, - ისე, მოცალეობის ჟამს, - იმ სახელმწიფო დაწესებულებების თოფ-ათეულიც შევადგინე, სადაც საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მწყრალად არიან. იმ სიაში თქვენი ადმინისტრაციაც თუ მოხვდებოდა, რაღა დაგიმალოთ და, არ ველოდი. ეს რომ მხოლოდ ჟურნლისტების პრობლემა იყოს, მაშინაც არ ივარგებდა, მაგრამ მე, ბატონო პრეზიდენტო, ბევრი ჩემი კოლეგისაგან განსხვავებით, რომელთა დაცვაც თქვენ იტვირთეთ, ჩემი საქმიანობა სხვა პროფესიებზე აღმატებული არ მგონია. სწორად არ მიმაჩნია, ჟურნალისტს ყველა კარს უხსნიდნენ, რიგით მოქალაქეებს კი ყველა კარს ცხვირწინ უკეტავდნენ. რა ინფორმაციის მოპოვებასაც მე ვცდილობ სარედაქციო დავალების შესასრულებლად, იგივეს ცდილობენ სხვებიც - შესაძლოა, გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემების მოსაგვარებლად.

თქვენს მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტებზე მოგახსენებთ. მეტყვით, რომ არსებობს შესაბამისი გამოცემები და ვებგვერდები, მაგრამ იქ, თუ დამიჯერებთ, გზის გარკვევა იმაზე ძნელია, ვიდრე ინფორმაციის მოპოვება. თქვენი ადმინისტრაციის იურიდიულ სამსახურში, სადაც მრავალი ცდის შემდეგ სატელეფონო ზარს, როგორც იქნა, უპასუხეს, ამიხსნეს, რომ პრეზიდენტის განკარგულების მოძიება მხოლოდ თქვენს ადმინისტრაციაში შეიძლება, ისიც წერილობითი მოთხოვნის შემდეგ. ასეც მოვიქეცი. აქ აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ ამ რანგის ნორმატიული აქტის მოძებნას ათი დღე არ სჭირდება და რომ ამ სახის ინფორმაცია, ისევ და ისევ კანონის თანახმად, დაუყოვნებლივ უნდა გაიცეს. ათი დღეც გავიდა, ოციც, მაგრამ პასუხს ვერ ველირსე. და თუ ასე ხდება თქვენს ადმინისტრაციაში, ადვილი წარმოსადგენია, რასთან გვაქვს საქმე დანარჩენ სახელმწიფო სტრუქტურებში, განსაკუთრებით რეგიონებში. აქვე დავძენ, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებისა და პრესცენტრების ლამის ერთადერთი ფუნქციაა, როგორმე თავგზა აუბნიონ საჯარო ინფორმაციის მოპოვების მსურველებს. "გადამისამართება" - აი, ჯადოსნური სიტყვა, რომელიც მუდმივად გვესმის ამ სამსახურებიდან, ოღონდ ეს აქტი რა შედეგით მთავრდება, რასაკვირველია, მათ არ აინტერესებთ. რაც შეეხება კერძო სექტორს, სახელმწიფო ინსტიტუციების მუშაობის სტილი, როგორც ჩანს, გადამდებია და ისინიც არანაკლები ენთუზიაზმით ბლოკავენ საჯარო ინფორმაციას.

ბატონო პრეზიდენტო, ერთი კონკრეტული ბრძანების მოპოვება ჩემი ახირება არ ყოფილა. აკი გითხარით, მხოლოდ წერილის მოსამზადებლად დამჭირდა - იმ წერილის, რომელიც მე, სამწუხაროდ, ვერ დავწერე, რადგან მგონია, რომ ჟურნალისტის საქმიანობა ფაქტებზე დაყრდნობასაც გულისხმობს. როგორც ჩანს, თქვენს მიერ გამოცემული განკრგულებების გასაიდუმლოება ვიღაც-ვიღაცეებმა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად მიიჩნიეს. ეს ხალხი, მათ შორის თქვენი ადმინისტრაციიდანაც, დიდად არ განსხვავდება შევარდნაძის დროინდელი ჩინოვნიკობისაგან. არც მაშინ იყო ადვილი საჯარო ინფორმაციის მოპოვება და ამ ინფორმაციის მოპოვებასაც არ ჰქონდა აზრი, მაგრამ დამეთანხმებით ალბათ, ჩვენთვის ეს ვერაფერი შეღავათია.

ახლაც მახსოვს ის დღე, როდესაც ვარდების რევოლუციის შემდეგ ერთმა ჭკვიანმა და გამოცდილმა კაცმა მითხრა, ამიერიდან ჟურნალისტობა არც ისე ადვილი იქნებაო. მიმიხვდით ალბათ, რასაც გულისხმობდა: ანბანურ ჭეშმარიტებას, რომ არადემოკრატიულ ქვეყნებში ხელისუფლების კრიტიკა ჟურნალისტების მხრიდან არანაირ გარჯას და, ასე განსაჯეთ, პროფესიონალიზმს არ მოითხოვს - როცა ქვეყანა ჩამოშლილია (განმარტებას დაგესესხებით), უტყუარი ფაქტების მოხმობა არავის სჭირდება, ისედაც ყველაფერი ნათელია. პროფესიონალური სტანდარტების შემუშავება, მათ შორის ჟურნალისტიკაში, მხოლოდ დემოკრატიული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. ასე რომ, ბატონო პრეზიდენტო, თუ ამ ბანალურ ჭეშმარიტებას არ დავიჯერებთ, არც იმის ილუზია უნდა გაგვიჩნდეს, რომ ჩვენს ქვეყანაშიც გაჩნდებიან მიუკერძოებელი ჟურნალისტები თუ მედიამფლობელები და თქვენც კიდევ ბევრი ჩემი კოლეგის დაცვა მოგიწევთ. ხომ არ აჯობებს, ისეთი გარემო შევქმნათ, რომ პრეზიდენტი მაინცდამაინც ჟურნალისტების დაცვაზე არ მოცდეს, მით უფრო, რომ ჩვენ მართლაც სერიოზული გამოწვევების წინაშე ვდგავართ.

ჩემი მოკრძალებული წერილობითი მოთხოვნა (N 9095) კი შემდეგში მდგომარეობდა: მაინტერესებდა 2008 წლით დათარიღებული თქვენი განკარგულება N 824. ეს მოთხოვნა 3 ივლისს ჩავაბარე. იქნებ ახლა მაინც მომაქციოს ვინმემ ყურადღება, თუ არადა, არც კი ვიცი, ვის მივმართო როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ისე სხვა დროს. ერთადერთი, რაც გამუდმებული გადამისამართებების შედეგად მახსენდება, ეს არკადი რაიკინის ფრაზაა მისი ერთ-ერთი სკეტჩიდან. წინასწარ გიხდით ბოდიშს რუსულად ციტირებისთვის: "Напишите справку, что вам нужна справка". ჰოდა, მეც ვითხოვ ინფორმაციას, იქნებ აგვიხსნან, რატომ არ გვაწვდიან საჯარო ინფორმაციას.

პატივისცემით,

*სოფიო თოდუა*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# აგრესორი თვალთმაქცობს

პირველი გვერდიდან

მან საქართველო კვლავ **"აფხაზი და ოსი ხალხების დამორჩილების ავანტიურულ მცდელობებში"** და **"ბარბაროსულ აგრესიაში"** დაადანაშაულა, რის გამოც, კარასინის თქმით, რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების **"რთული გადაწყვეტილება"** მიიღო.

კარასინი დარწმუნებულია, რომ გასული წლის მოვლენები **"ყველასთვის დიდი გაკვეთილი იყო, რომელმაც დაადასტურა, რომ კონფლიქტების მოგვარების ძალისმიერი მეთოდები ამორალური და კონტრპროდუქტიულია."**

მან იმედი გამოთქვა, რომ **"პასუხისმგებლობის მქონე დასავლურმა წრეებმა გააკეთეს დასკვნები საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების წახალისების საშიშროებაზე, ხელისუფლებისა, რომელიც ბრმად მიიწევს ნატო-სკენ და კვლავ რევანშის იმედი აქვს."**

კარასინს იმედი აქვს, რომ აგვისტოს ომი **"დააფიქრებდა"** იმ ქვეყნებს, რომლებიც საქართველოს შემტევ შეიარაღებას აწვდიდნენ.

ედუარდ კოკოითმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის მომავალს იგი რუსეთის შემადგენლობაში ხედავს. ეს განცხადება მან "როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში გააკეთა, რომელიც აგვისტოს ომის ერთი წლის თავს მიეძღვნა.

**"ჩვენ საკუთარ სახელმწიფოებრიობას ავაშენებთ რუსეთთან ერთად. იმასაც არ გამოვრიცხავთ, რომ რუსეთის შემადგენლობაში შევალთ,"** - განაცხადა სეპარატისტთა ლიდერმა. მისი თქმით, რუსეთთან გაერთიანებას მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უჭერს მხარს, რომლის 98 პროცენტსაც რუსეთის მოქალაქეობა აქვს.

გარდა ამისა, კოკოითი რუსეთს სამხრეთ ოსეთში სამხედრო დაჯგუფების გაძლიერებას სთხოვს. მისი თქმით, რუსეთის მიერ რეგიონში განლაგებული 3 700 სამხედრო საკმარისი არ არის და სამხრეთ ოსეთს მეტი შეიარაღება და სერიოზული ტექნიკა სჭირდება. ამასთან, კოკოითის თქმით, იგი ახალ ომზე **"არც ფიქრობს."**

გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული რუსი მესაზღვრეები განსაკუთრებულ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს. ეს ინფორმაცია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა, რომელმაც მიზეზად "საზღვარზე" გახშირებული ინციდენტები და **"უფრო დიდი შეტაკებების"** საფრთხე დაასახელა.

რუსეთის საგარეო უწყებამ ქართული მხარე **"აგვისტოს მოვლენების წლისთავზე"** პროვოკაციებში დაადანაშაულა. საგარეო უწყება აღნიშნავს, რომ ინციდენტების შესახებ ორივე მხრიდან გაკეთებული განცხადებები წინააღმდეგობრივია და ურთიერთბრალდებებს შეიცავს, მოსკოვი კი მათ **"სათითაოდ სწავლობს."**

**"სამსახურის გაძლიერებულ რეჟიმზე"** სეპარატისტული ხელისუფლების შეირაღებული ფორმირებებიც გადავიდნენ. გუშინ საღამოს ედუარდ კოკოითმა **"საქართველოს ბოლო პროვოკაციის გამო"** უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაც მოიწვია.

# აფეთქებები მძიმე კონტექსტში

პირველი გვერდიდან

გარდა ამისა, ქროულის ინფორმაციით, აღნიშნული ინციდენტი აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ უილიამ ბერნსმა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა სატელეფონო საუბარში განიხილეს. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის თქმით, სერგეი ლავროვის მოადგილესთან საუბრის გამართვის ინიციატორი, ბერნსთან ერთად, სახელმწიფო მდივნის მოადგილე ფილიპ გორდონიც იყო. ფილიპ ქროულიმ განმარტა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი ყოველი კვირის ბოლოს უკავშირდება როგორც ქართული, ასევე რუსული მხარის წარმომადგენლებს.

რუსეთ-საქართველოს ომის ერთი წლისთავის მოახლოებასთან ერთად გამწვავებული ვითარების განმუხტვას ცდილობს ევროკავშირი. ევროგაერთიანების 27 წევრი ქვეყნის სახელით განცხადება გაავრცელა ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანამ შვედეთმა. **"ქართულმა და ოსურმა მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი ქმედებებისგან, რომლებიც რეგიონში ვითარების დესტაბილიზაციას გამოიწვევს,"** - აღნიშნავს ოფიციალური სტოკჰოლმი. ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა მოუწოდებს ორივე მხარეს, არ დაძაბონ ვითარება, უზრუნველყონ ევროკავშირის დამკვირებელთა შეუზღუდავი გადაადგილება და ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს მონიტორინგის ჩატარება.

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი მიიჩნევს, რომ ოკუპირებული რეგიონიდან პროვოკაციების აღკვეთა სწორედ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მოვალეობაა. მინისტრი, რუსეთ-საქართველოს ომის ერთი წლის თავზე, ოსი სეპარატისტებისა და რუსი ოკუპანტების მხრიდან მასშტაბური პროვოკაციების მოწყობას ელის. **"ამიტომ ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის მისიის გააქტიურება,"** - აღნიშნავს სახელმწიფო მინისტრი.

მაშინ, როცა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის სიახლოვეს მდებარე სოფლებში ინციდენტები ხდება, მარიონეტული ხელისუფლების ხელმძღვანელი ედუარდ კოკოითი ცხინვალთან ახლოს საზეიმო ვითარებაში ხსნის სამხედრო წვრთნებს. ერთ-ერთ სოფელში მომხდარ აფეთქებამდე რემდენიმე საათით ადრე მან განაცხადა, რომ **"სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული რუსეთის შეირაღებული ძალების დანაყოფი ოფიციალურად იწყებს საწვრთნელ მომზადებას"**. მას არ დაუკონკრეტებია, რამდენ ხანს გაგრძელდება სამხედრო სწავლება. კოკოითის თქმით, თუკი წვრთნების მიმდინარეობისას რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას რაიმე საფრთხე დაემუქრება, პროვოკაციის აღსაკვეთად საწვრთნელ კონტინგენტს გამოიყენებენ. რუსული საინფორმაციო სააგენტო "რია ნოვოსტი" კი იუწყება, რომ რუსეთმა ე.წ. სამხრეთ ოსეთში თავისი სამხედროებისა და მესაზღვრეების საბრძოლო მზადყოფნა გააძლიერა. რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყების წარმომადგენელ ანდრეი ნესტერენკოს თქმით, **"მოსკოვი ყურადღებით აკვირდება ყველაფერს, რაც საქართველო-სამხრეთ ოსეთის საზღვარზე ხდება. ვითარება ნამდვილად საგანგაშოა. გასული წლის აგვისტოს მოვლენების წლისთავის წინ ქართული მხრიდან პროვოკაციები არ წყდება"**. საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა ლალიაშვილმა "24 საათთან" საუბარში მცირემასშტაბიანი პროვოკაციების გაგრძელება არ გამორიცხა. მისი თქმით, **"საქართველოს ხელისუფლების მთავარი ამოცანა ის უნდა იყოს, რომ არავითარ შემთხვევაში არ აჰყვეს პროვოკაციებს და მაქსიმალური სიფრთხილით იმოქმედოს"**. რაც შეეხება ცხინვალში მიმდინარე სამხედრო მზადებას, ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" წევრის აზრით, **"წვრთნები შეიძლება იყოს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იმიტაციის შესაქმნელად, რომ თითქოს სავარაუდოა რაღაც ესკალაცია"**. თუმცა, ლალიაშვილი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე საქართველოში ფართომასშტაბიანი აგრესია მოსალოდნელი არ არის, რადგან მოსკოვში პრეზიდენტ ბარაკ ობამას ვიზიტის შემდეგ სამხედრო მოქმედებების განახლება გადავადდა.

ოკუპირებული რეგიონის მიმდებარე სოფლებში ბოლო დღეების განმავლობაში განვითარებული მოვლენები "24 საათთან" საუბარში შეაფასა პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა. მისი თქმით, **"ეს არის ნერვების ომის გაგრძელება; არა მგონია, რუსეთს მეტის თავი ჰქონდეს. ამით რუსეთი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას არღვევს"**. დარჩიაშვილმა აღნიშნა, რომ ევროკავშირის მოწოდება სწორედ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევროკავშირის დამკვირვებლების შეშვებაზე ამახვილებს ყურადღებას და მასში მხოლოდ თავშეკავებაზე არ არის საუბარი. დარჩიაშვილის თქმით, **"სარკოზი-მედვედევის შეთანხმების შესასრულებლად საჭიროა ოკუპირებულ მხარეს ძალისხმევის ინტესიფიცირება. თავისთავად ცხადია, რომ საჭიროა ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ადამიანების დაცვა."**

## ბაიდენის შენიშვნები გასათვალისწინებელია

პირველი გვერდიდან



ისინი ისეთ ვითარებაში არიან, როცა მსოფლიო უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე რუსეთი და ის წარსულის ხავსს ეჭიდება," - განაცხადა ბაიდენმა.

"ბაიდენის შენიშვნები გამოხატავს იმ სივრცეს, რომელშიც, ობამას ადმინისტრაციის რწმენით, ძალთა წონასწორობა ვაშინგტონისკენ იხრება თეთრი სახლისთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენით, ანუ სტრატეგიული უპირატესობით, დაარწმუნოს რუსეთი ბირთვული არსენალის შემცირების აუცილებლობაში, შეამციროს ოფიციალური მოსკოვის ძალაუფლება მის საზღვრებთან ახლად გაჩენილ დემოკრატიულ სახელმწიფოებზე და ითანამშრომლოს ირანისა და ჩრდილოეთ კორეის საკითხებში," - ასკვნის შპიგელი.

ბაიდენის ინტერვიუზე კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის წარმომადგენელმა ნატალია ტიმაკოვამ, რომელმაც აღიარა, რომ რუსეთი ფიქრობს ბაიდენის მიერ წამოწეულ საკითხებზე - ეკონომიკურ გამოწვევებზე, საბანკო სექტორსა და მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაზე, წერს შპიგელი.

"ინტერფაქსის" თანახმად, მედვედევის მრჩეველმა საგარეო ურთიერთობებში სერგეი პრიხოდკომ ბაიდენის შენიშვნებს დამაბნეველი უწოდა. "შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას გუნდისა და მთავრობის ზოგიერთ წევრს თუ არ მოსწონს ეს ატმოსფერო, რატომ არაფერს ამბობენ? თუ ისინი არ ეთანხმებიან მათი პრეზიდენტის კურსს, ეს ჩვენ, უბრალოდ, უნდა ვიცოდეთ," - თქვა პრიხოდკომ.

თუმცა, თეთრი სახლის სპიკერ რობერტ გიბსის თქმით, "ორივეს - პრეზიდენტ ობამასა და ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენს სწამთ, რომ გაუმჯობესებული ურთიერთობები ჩვენს ინტერესებშია და რუსეთიც იმუშავებს ურთიერთობების გაუმჯობესებაზე, რადგან ეს მის ინტერესებშიც შედის."

ამავდროულად, რუსების გაღიზიანებული ტონის დასაცხრობად შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა სატელევიზიო არხ "ენ-ბი-სი"-ს გადაცემაში "შეხვდით პრესას" განაცხადა: "ჩვენ რუსეთს ზესახელმწიფოდ აღვიქვამთ. ყველა ქვეყანას აქვს გამოწვევა. ჩვენ ჩვენი გამოწვევა გვაქვს, რუსეთს თავისი... რუსებმა იციან, რომ ჩვენ გვაქვს კითხვები მათი პოლიტიკის შესახებ, ხოლო მათ ჩვენ მიმართ." სახელმწიფო მდივნის თქმით, ობამას ადმინისტრაცია არ მიიჩნევს, რომ მას უზენაესი უპირატესობა აქვს მოსკოვთან ურთიერთობებში.

ასეთი შენიშვნები დახვეწილია, მაგრამ სუსტი.

27 ივლისს "უოლ სთრით ჯორნალის" სარედაქციო წერილმა კომენტარი გაუკეთა იმ პოლიტიკურ ხანძარს, რაც ამავე გამოცემის სტატიამ გამოიწვია. "მანამდე, ვიდრე ობამას ადმინისტრაცია ბაიდენის მიერ დაშვებულ შეცდომას გამოასწორებს, ვფიქრობთ, იგი მხარდაჭერას იმსახურებს... ბაიდენმა მხოლოდ ის აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები და რუსეთი არ არიან თანასწორნი სტრატეგიული თვალსაზრისით... ბაიდენის ჯანსაღი დასკვნები საფრთხეს უქმნის იარაღის კონტროლზე თანამშრომლობის და ევრაზიული დემოკრატიებისადმი შეერთებული შტატების მხარდაჭერის შესუსტების საფუძველზე რუსეთთან ურთიერთობების გონივრულ "გადატვირთვას", რომელიც პრეზიდენტ ობამას მიერ არის შემუშავებული.

ამან შესაძლოა, გაართულოს რუსეთთან შეერთებული შტატების ურთიერთობების "გადატვირთვა", სამაგიეროდ, კარს ხსნის რაციონალური დისკუსიისთვის. ბაიდენმა ისედაც ცხადი რამ თქვა - ვაშინგტონში რეალურად არავის სჯერა, რომ რუსეთი ზესახელმწიფოა. მეტიც, არც მოსკოვში სჯერა ვინმეს, რომ ვაშინგტონში ვინმეს სწამს ამის.

"მაშინ, რა საჭიროა ახალი შეთანხმების დადება ისეთი ამერიკული ბირთვული ქობინებისა და გადამტანი ტრანსპორტის შესახებ, როგორიცაა მოიერიშეები და რაკეტები, თუკი არც რუსეთს შეუძლია ასეთი მარაგის შენახვის უფლება მისცეს თავს? რა საჭიროა აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის "პრივილეგიური ინტერესების", კერძოდ იმპერიის აღდგენაზე ოცნებებისა და ილუზიების გამოკვება პოლონეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში ანტისარაკეტო ფარის განთავსების სურვილის გადაფიქრებაზე მინიშნებით, როცა მოსკოვის ამჟამინდელი რეჟიმი, როგორც ამას ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი შენიშნავს, "წარსულში" ცხოვრობს? კონკრეტულად, რის მიღებას ელის ამერიკის შეერთებული შტატები "სულთმობრძავ" პარტნიორთან დათმობებზე წასვლით?"

გარდა ამისა, ბაიდენის შენიშვნები კიდევ რამდენიმე ლოგიკურ კითხვას წარმოშობს. ვინმემ შესაძლოა იკითხოს, რამდენად შესაფერისი მომენტი იყო ახლა რუსეთის რეალურ სისუსტეზე საუბრისთვის? ან შეიძლება თქვას, რომ "მაინცდამაინც არ არის გონივრული ისეთი საქციელი, როცა ისედაც რთულ ვითარებაში მყოფ პიროვნებას ან სახედაკარგულ ქვეყანას უხერხულ მდგომარეობაში აყენებ."

ასევე შესაძლოა იკითხო - მეტისმეტად ხომ არ ემყარება ბაიდენის ზოგიერთი დასკვნა დასავლურ კარტეზიანულ ლოგიკას. "მე ყოველთვის ვუშვებ იმას, რომ ხალხები ან ქვეყნები ადრე თუ გვიან დაიწყებენ თავიანთი ინტერესების ძიებას. მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ბევრი რამ არის ისეთი, რაც რუსებს სჭირდებათ... რუსები, საბოლოო ჯამში, საკმაოდ პრაგმატულები არიან," - განაცხადა ბაიდენმა. მაგრამ, მივლენ კი რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმირ პუტინი და სხვა რუსი ლიდერები იმ დასკვნებამდე, რასაც ბაიდენი ისურვებდა?

მიუხედავად იმისა, მართალია თუ არა ბაიდენი, რომ რუსეთს არ შეუძლია ამჟამინდელი სამხედრო პოზის შენარჩუნება, "ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ისინი რაღაც სისულელეს ჩაიდენენ?" "არა," - მიიჩნევს ბაიდენი.

დაბოლოს, დროის რა ინტერვალია საჭირო ამ ყველაფრისთვის? საბოლოო ჯამში, ამერიკას დიდხანს შეუძლია უპირატესობის შენარჩუნება. ინგლისელი ეკონომისტის ჯონ მეინარდ ქინის სიტყვები რომ მოვიშველიოთ - "ბოლოს და ბოლოს, ყველა მოვკვდებით." ბაიდენის ანალიზი ღირებულია, მაგრამ ამერიკამ უნდა განსაზღვროს, თუ რას ნიშნავს რუსეთთან ურთიერთობების "გადატვირთვა" მოკლე ან საშუალოვადიან პერიოდში.

*დევიდ ჯ. სმიტი, საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი (თბილისი) და პოტომაკის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ვაშინგტონი). სვეტი 15 სექტემბრიდან გაგრძელდება.*

# ბარაკ ობამა 48 წლის იუბილეს აღნიშნავს

## უცნობმა პირებმა პრეზიდენტს განსაკუთრებული საჩუქარი მოუმზადეს

მარიკა იაშვილი


AFP © 2009

ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ 48-ე დაბადების დღე აღნიშნა. თუ როგორ გეგმავდა პრეზიდენტი ამ დღის გატარებას, წინასწარ არ გახმაურებულა. თუმცა ცნობილია, რომ დასვენების დღეები, რომლებიც მის იუბილეს უსწრებდა წინ, პრეზიდენტმა კემპ-დევიდის რეზიდენციაში, მერილენდის შტატში, მეგობრებთან ერთად გაატარა. თეთრი სახლის პრესსპიკერ რობერტ გიბსის ცნობით, აგარაკზე შეკრებილები ბოულინგსა და კალათბურთს თამაშობდნენ, შემდეგ კი ერთად ისადილეს.

გაირკვა, რომ პრეზინდეტს თავის დაბადების დღეზე არა საზეიმო, არამედ საკმაოდ საქმიანი ლანჩი ქონდა, რომელსაც "დემოკრატიული პარტიის" წევრი სენატორები ესწრებოდნენ.

ამერიკელმა კანონმდებლებმა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურმა ლანჩის დროს თავის პრიორიტეტებზე, უკვე მიღწეულ და მომავალში მისაღწევ მიზნებზე ისაუბრეს.

ობამას წარმომადგენელმა პრეზიდენტის იუბილეზე საუბრისას ხუმრობით ისიც კი აღნიშნა, რომ თეთრმა სახლმა ქვეყნის ლიდერის დაბადების დღის აღსანიშნავად ერთი საბავშვო ცენტრი დაჯავშნა, რომელიც ამერიკაში ძალზე პოპულარულია.

აშშ-ს პრეზიდენტმა დაბადების დღის წინ უცნობი პირებისგან განსაკუთრებული საჩუქარი მიიღო. დაუდგენელმა პირებმა მთელ ლოს ანჯელესში გაავრცელეს პლაკატები, რომლებზეც ამერიკის პრეზიდენტი ფილმ "ბნელი რაინდის" უარყოფითი გმირის - ჯოკერის სახით არის გამოსახული. პოსტერს ამშვენებს წარწერა "სოციალიზმი". ამერიკელებში ეს სიტყვა ტრადიციულად უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს.

პრესის ვარაუდით, პლაკატის ავტორებმა ამ გზით ქვეყნის ლიდერისა და მის მიერ მთელ რიგ სფეროებში გატარებული პოლიტიკის მიმართ უკმაყოფილება გამოხატეს. ბოლო პერიოდში მოსახლეობაში ობამას რეიტინგი მკვეთრად დაეცა, ამის მიზეზი კი პრეზიდენტის მიერ ეკონომიკის, ჯანდაცვისა და სამედიცინო დაზღვევის სფეროებში გატარებული პოლიტიკაა.

ექსპერტებისა და ჟურნალისტების ვარაუდით, არ არის გამორიცხული, ეს პოსტერი უახლოეს მომავალში მთელ ამერიკაში გავრცელდეს და მოსახლეობის უკმაყოფილების საერთო სიმბოლოდ იქცეს.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოსტერის გამოჩენამ ბევრი კალიფორნიელის უკმაყოფილება გამოიწვია.

ობამა-ჯოკერის პლაკატის არსებობის შესახებ ინფორმაცია პირველად მიმდინარე წლის აპრილში გავრცელდა. იმ დროისთვის ვარაუდობდნენ, რომ პლაკატის ავტორები რასისტები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან მასზე პრეზინდეტს თეთრი სახე აქვს.

მოგვიანებით, ინტერნეტში პოსტერის "პროტოტიპის" პოვნაც მოხერხდა, ეს არის ობამა-ჯოკერის ფოტო, რომელიც ჟურნალ "თაიმის" ყდას ამშვენებს. თუმცა ჯერჯერობით უცნობია, ვინ აქცია ფოტო პოსტერად და ვინ მიაწერა მას ამერიკელებისთვის ასეთი გამაღიზიანებელი სიტყვა "სოციალიზმი".

პოსტერების გავრცელების გამო ჯერჯერობით არავითარი ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა და უცნობია, თუ რა აზრის არის ამერიკის პირველი შავკანიანი ლიდერი მსგავს საჩუქარზე. ამჟამად ის თეთრ სახლში თავის ოჯახთან ერთად იმყოფება. თუმცა გავრცელებული ინფორმაციით, მიშელი, მალია და საშა უახლოეს მომავალში დასასვენებლად კუნძულ მარტას- ვინიარდზე გაემგზავრებიან, რომელიც მასაჩუსეტსის შტატის სანაპიროსთან ახლოს მდებარეობს და ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ფეშენებელური კურორტია.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრეზიდენტის ოჯახმა უკვე დაიქირავა აგარაკი სახელად Blue Heron. მისი საერთო ფართობი 12 ჰექტარია და იგი დასახლებულ პუნქტ ჩილმარკის მახლობლად მდებარეობს.

თეთრი სახლის წარმომადგენლების განცხადებით, თავად პრეზიდენტი მოკლევადიანი შვებულებით ოჯახთან ჩასვლას აგვისტოს ბოლოს აპირებს.

# ჩინეთში უიღურების დაპატიმრებები გრძელდება

ივა შილაკაძე

ჩინეთის მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებების (ძირითადად ეს არის საინფორმაციო სააგენტო "სინხუა") ცნობით, ივლისის დასაწყისში სინძიან-უიღურეთის ავტონომიურ რეგიონში მომხდარი მასობრივი უწესრიგობების გამო ოფიციალურად დაპატიმრებულია 83 ადამიანი. მათ შეიძლება მკვლელობებში წაუყენონ ბრალი. სააგენტო "სინხუას" ცნობით, ამ მოვლენების გამო სულ 700-ზე მეტი ადამიანი დააკავეს. თუმცა ბოლო დღეებში სააგენტო დაკავებულ უიღურთა სხვადასხვა რაოდენობას ასახელებდა. 29 ივლისს 253 დაკავებულის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, 3 აგვისტოს მონაცემებით კი დაკავებულთა რიცხვი 319 იყო. სააგენტო არ აზუსტებს, თუ რამდენი კაცი გაათავისუფლს ადრე დაპატიმრებულთაგან.

სხვადასხვა მონაცემებით, მათ შორის დამოუკიდებელი წყაროებიდან მიღებული ინფორმაციებით, 5 ივლისის შემდეგ 1600-დან 2000-მდე პირი დააპატიმრეს. უიღურების მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტმა რებია კადირმა განაცხადა, რომ არეულობების შემდეგ უკვალოდ გაქრა, დაახლოებით, ათი ათასი უიღური, თუმცა კადირს თავისი სიტყვების დასადასტურებლად რაიმე მონაცემები არ მოუყვანია. ჩინეთის ხელისუფლება კი არეულობების ორგანიზატორებად სწორედ უცხოეთში მცხოვრებ უიღურებს, ზემოთ ხსენებულ კონგრესს და პირადად მის ხელმძღვანელს, შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ბიზნესმენ ქალს რებია კადირს ასახელებდა. რებია კადირი ყველა ამ ბრალდებას უარყოფს.

5 ივლისის მასობრივ უწესრიგობებს სინძიან-უიღურეთის ცენტრ ურუმჩიში 197 ადამიანი შეეწირა. საპროტესტო გამოსვლა მშვიდობიანი იყო მანამდე, ვიდრე პოლიციამ ძალა არ გამოიყენა (ამ მოვლენებზე დაწვრილებით წერდა "24 საათი"). მომდევნო დღეებში ორი თემის "გასაშველებლად" ჩინეთის ხელისუფლებას პოლიციური ძალები არ ეყო და ქალაქში არმია შეიყვანა. რეპრესიები კი ძირითადად ისევ უიღურებს დაატყდათ თავს. მასობრივი არეულობების მონაწილეთა დიდი ნაწილი პოლიციამ თვითონ დააპატიმრა, ნაწილის აღმოჩენა-დაპატიმრებაში კი, ცხადია, ეთნიკური ჩინელები დაეხმარნენ. ზოგზე ჯერ კიდევ ძებნაა გამოცხადებული. დააპატიმრეს არა მარტო ურუმჩის მკვიდრნი, არამედ სინძიანის ოლქის სხვა ქალაქებში მცხოვრები პირები.

გუშინ სააგენტო "სინხუას" საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩინელმა სამართალდამცავებმა ბოლო პერიოდში სინძიან-უიღურეთის ავტონომიურ რეგიონში ხუთი ტერაქტი აღკვეთეს, მათ შორის ერთი თვით ურუმჩიში. ამ განუხორციელებელ ტერაქტებზე პასუხისმგებლობა, ცხადია, აღმოსავლეთ თურქესტანის (სინძიან-უიღურეთის ისტორიული სახელწოდება) სეპარატისტებს დააკისრეს, რომლებიც, ჩინეთის ხელისუფლების აზრით, სიტუაციის დესტაბილიზაციას და ეროვნებათაშორის კონფლიქტის გაღვივებას ცდილობენ.

მოსალოდნელია, რომ დაპატიმრებულების გასამართლება აგვისტოშივე დაიწყება.

# ისრაელს პალესტინელების გასახლებისთვის აკრიტიკებენ

ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა, გააკრიტიკა ისრაელის ხელისუფლება აღმოსავლეთ იერუსალიმის ერთ-ერთი სადავო რაიონის ორი სახლიდან ცხრა პალესტინური ოჯახის - სულ 53 ადამიანის გასახლების გამო. ამ ბინებში, ფაქტობრივად, მაშინვე შეასახლეს ებრაული ოჯახები.

ისრაელმა აღმოსავლეთ იერუსალიმის ოკუპირება 1967 წლის ექვსდღიანი ომის დროს მოახდინა. შემდეგ ამ ტერიტორიის ანექსიაც გაფორმდა. საერთაშორისო საზოგადოება დღემდე არ აღიარებს ისრაელის სუვერენიტეტს ქალაქის ამ ნაწილზე და მას ოკუპირებულ ტერიტორიად მიიჩნევს.

ოფიციალურმა ვაშინგტონმა აღნიშნა, რომ ოჯახების გასახლება არ შეესაბამება იმ ვალდებულებებს, რომლებიც ისრაელმა ე.წ. "საგზაო რუკის" - ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარების საერთაშორისო გეგმის შესაბამისად იკისრა. მსგავსი განცხადებები გააკეთეს გაერო-მ და, ცხადია, პალესტინელებმაც. პალესტინელების ოფიციალურმა წარმომადგენელმა საებ ერეკატმა ისრაელის ქმედებებს გამომწვევი უწოდა. "ისრაელი კვლავ ახდენს საერთაშორისო სამართლის სრული უპატივცემულობის დემონსტრაციას, - განაცხადა მან. - უცხოეთიდან ახალჩამოსახლებული რეპატრიანტები პალესტინელების სახლებში ეწყობიან, ხოლო 19 ბავშვს, რომლებმაც საცხოვრებელი დაკარგეს, ღამის გასათევი ადგილი არ აქვს". ისრაელის მიუღებელი მოქმედებების გამო კვირასვე მწუხარება გამოხატა გაერო-ს სპეციალურმა კოორდინატორმა ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესის საკითხებში რობერტ სერიმ. მისი სიტყვებით, ეს ქმედებები ეწინააღმდეგება ჟენევის კონვენციების იმ პუნქტებს, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებს ეხება. "ეს მოქმედებები ამწვავებს დაძაბულობას და ხელს უშლის მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევას შედეგიანი მოლაპარაკებების გამართვისა და მშვიდობის მისაღწევად სათანადო პირობების შექმნაში." მსგავსი პათოსია დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს განცხადებაში, რომელიც აღმოსავლეთ იერუსალიმში ამ ქვეყნის საკონსულომ გაავრცელა. ამ დოკუმენტში ისრაელის ქმედებები მოხსენიებულია როგორც "შეუთავსებელი ისრაელის განცხადებებთან მშვიდობის დამყარების სურვილის შესახებ". ბრიტანეთი მოუწოდებს ისრაელს, არ დაუშვას ისეთი სიტუაცია, სადაც ტონის მიმცემნი ექსტრემისტები იქნებიან.

იერუსალიმის რაიონ შეიხ იარადან პალესტინელების გასახლების ოპერაცია ისრაელის პოლიციამ კვირა დილას ჩაატარა. მისი საფუძველი გახდა ისრაელის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, მიწა, რომელზეც აღნიშნული სახლები დგას, ებრაული ოჯახების საკუთრებაა. ამ ტერიტორიაზე ისრაელის ხელისუფლება 20-ბინიანი სახლის აშენებას აპირებს.

ისრაელი იერუსალიმს ერთ მთლიან ქალაქად და საკუთარ დედაქალაქად მიიჩნევს. დავაზუსტებთ, რომ 1967 წლის ოკუპაციის შემდეგ ისრაელმა ააშენა ე.წ. დასავლეთ იერუსალიმი, რომელშიც თელ-ავივიდან (საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული დედაქალაქი) მმართველობის ორგანოები გადმოიტანა. დასავლეთ იერუსალიმი მთლიანად ებრაული ქალაქია. ცოტა ხნის წინათ ამ თემაზე საუბრისას ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ "იერუსალიმზე ჩვენი სუვერენიტეტი სადავო არ არის. ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ აზრს, რომ ებრაელებს არა აქვთ ცხოვრებისა და სახლების ყიდვის უფლება იერუსალიმის რომელიმე ნებისმიერ რაიონში."

სახლები, რომლებზეც საუბარია, "ბი-ბი-სი"-ს კორესპონდენტის ცნობით, დედამიწის ერთ-ერთ ყველაზე სადავო უბანში მდებარეობს და აქ მიმდინარე პროცესების დიპლომატიური ექო ალბათ კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

სამწუხაროდ, საერთაშორისო სააგენტოების ინფორმაციებში ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე, რაც ზოგადად აღმოსავლეთ იერუსალიმზე ისრაელის უფლებებს ეხება. არ არის მონაცემები ისრაელის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძვლიანობის შესახებ. გაურკვეველია, ვისგან იყიდეს ებრაელებმა ეს სახლები და მიწა, რა უფლებით (ბინების მესაკუთრეების თუ არენდატორების) ცხოვრობდნენ იქ პალესტინური ოჯახები და სხვ.

დღეს აღმოსავლეთ იერუსალიმში, დაახლოებით, 250 ათასი პალესტინელი და 200 ათასი ებრაელი ცხოვრობს.

ისრაელში ამ დღეებში სხვა სკანდალიც აგორდა, რომელიც ქვეყნის ხელისუფლების შიდა პრობლემას ეხება. კვირას ისრაელის პოლიციამ საჭიროდ მიიჩნია ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრ ავიგდორ ლიბერმანისთვის ბრალდების წაყენება. საქმე ეხება კორუფციის, თაღლითობის და ფულის გათეთრების ოპერაციებს. სამართალდამცავთა აზრით, აღნიშნულ საქმესთან შეიძლება დაკავშირებული იყოს კომპანია, რომელსაც ლიბერმანის ქალიშვილი ხელმძღვანელობს. ამ საქმის გამოძიება უკვე 13 წელიწადია მიმდინარეობს, ლიბერმანიც უკვე დაკითხული ჰყავს პოლიციას, მათ შორის ლიბერმანის მიერ საგარეო საქმეთა მინისტრის სავარძლის დაკავების შემდეგ. თვითონ ლიბერმანი მზად არის, მინისტრის პოსტიდან გადადგეს და 4-5 თვეში კნესეტის დეპუტატის მანდატსაც შეელიოს, თუ მისთვის ბრალდების ოფიციალურად წაყენებას საჭიროდ მიიჩნევს გენერალური პროკურორი. თუმცა ლიბერმანი დარწმუნებულია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე გაისადაც იქნება და ორი წლის შემდეგაც. ლიბერმანის თქმით, მისი ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები რომ არსებობდეს, გამოძიება 10 წელიწადზე მეტ ხანს არ გაგრძელდებოდა.

*"ბი-ბი-სი"-ს მიხედვით მოამზადა ივა შილაკაძემ*

# გიორგი ოვაშვილი - პარიზის კინოფესტივალის რჩეული, ნიჭიერთა ათწლედი კი იუბილარი

## ნიკოლოზ რურუამ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს ღირსების ორდენი გადასცა





გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში კულტურის მინისტრი ნიკოლოზ რურუა რეჟისორ გიორგი ოვაშვილს კიდევ ერთ გამარჯვებას ულოცავდა.

ოვაშვილის "გაღმა ნაპირი" პარიზის კინოფესტივალის მთავარი პრიზის მფლობელი გახდა. ვინაიდან რეჟისორი პარიზში დაჯილდოების ცერემონიას ვერ დაესწრო, პრიზი საფრანგეთში არსებულმა საქართველოს საელჩომ გამოაგზავნა და ამ პრიზის რეჟისორისთვის გადაცემა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ იკისრა. აქვე აღვნიშნავთ, რომ პარიზის კინოფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე ცნობილი მსახიობი შარლოტ რამპლინგი გახლდათ.

ეს რაც შეეხება გუშინდელ დღეს, თუმცა საზეიმო ვითარება კულტურის სამინისტროში გუშინ არ დაწყებულა. სამინისტროს სააქტო დარბაზში ორი დღის წინ ასევე მოეწყო შეხვედრა, რომლის პირველი ნაწილი მიეძღვნა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ცენტრალური N1 სამუსიკო სასწავლებლის დაარსებიდან 70 წლისთავს, მოგვიანებით კი, მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ ღირსების ორდენები სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს გადასცა.

ოფიციალური ნაწილის პარალელურად, იქვე გაიმართა კონცერტი, რომელშიც სამუსიკო სასწავლებლის, ე.წ. ნიჭიერთა ათწლედის რამდენიმე საუკეთესო მოსწავლე მონაწილეობდა. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ პედაგოგები, რომლებსაც ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა დაოსტატების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით. სწორედ მათი მისამართით გამოთქმული მადლიერებით დაიწყო სიტყვა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა. "მადლობა ახალგაზრდებს, რომელთა ნიჭიერებაც სახეზეა, ისინი ხომ უკვე ჩამოყალიბებული მუსიკოსები არიან... განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო მათ პედაგოგებს, "ნიჭიერთა ათწლედის" ყველა წარმომადგენელსა და ხელმძღვანელს. ეს სასწავლებელი ჩვენს ქვეყანას ნიჭიერი მუსიკოსებით ამარაგებს. ასევე, დიდი მადლობა ნინო მამრაძეს, რომლის ხელიც ამ ფასეულობას მისი იქ მისვლის დღიდან დაეტყო. მე მომწონს მისი ლიბერალური და თავისუფალი აზროვნება...", - განაცხადა ნიკოლოზ რურუამ და სამუსიკო სასწავლებლის ხელმძღვანელს სამინისტროს სიგელი გადასცა. ნინო მამრაძემ კი აღნიშნა: - "ჩვენ ბედნიერნი ვართ იმით, რომ ეს დაფასება ჩვენი მოღვაწეობის შედეგია... ამ 4 წლის განმავლობაში სასწავლებელს მრავალი ახალი მიმართულება და საგანი დაემატა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენთვის საჭირო მასალას, ძირითადად, ინგლისურიდან ვთარგმნით, ჩვენი ტრადიციული და საერთაშორისო მიღწევების შერწყმას ვცდილობთ. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ტრადიციულად, ისევ და ისევ ჩვენი მოსწავლეებით კომპლექტდება კონსერვატორია, და არა მხოლოდ ის, რადგანაც ამ სამუსიკო სასწავლებლის აღზრდილები სწავლას საზღვარგარეთის წამყვან კონსერვატორიებში ხშირად აგრძელებენ. ჩვენ გვყავს 80-ზე მეტი საერთაშორისო ლაურეატი, აქედან 30-ზე მეტი გრან-პრისა და პირველი ადგილების მფლობელია და ა.შ. სკოლა მარტო შენობა არ არის, ის უპირველესად შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც მოსწავლე და მასწავლებელი მონაწილეობს".

ამ სასწავლებლის დაარსებისა და ჩამოყალიბების ისტორიას რაც შეეხება, 1934 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან ჩამოყალიბდა სასწავლო ჯგუფი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისათვის. ამ ჯგუფის საფუძველზე კი, 1938 წელს შეიქმნა სპეციალური სამუსიკო სკოლა, რომელიც მალე ფართო საზოგადოებისთვის ნიჭიერთა ათწლედის სახელით გახდა ცნობილი. 70 წლის განმავლობაში ამ სკოლაში აღიზარდა ქართველ კომპოზიტორთა, მუსიკოს-შემსრულებელთა, მუსიკათმცოდნეთა არაერთი თაობა, რომელთა შემოქმედებამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. მათ შორის არიან: ზურაბ ანჯაფარიძე, ნოდარ გაბუნია, იოსებ კეჭაყმაძე, მარინე ხვიტია, დიმიტრი ბაშკიროვი, ბიძინა კვერნაძე, ლექსო თორაძე, ალექსანდრე კორსანტია და სხვები.

აღნიშნული სასწავლებლის მოსწავლეების მიერ სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შესრულებული მუსიკალური ნომრების შემდეგ, ნიკოლოზ რურუამ ქართული ფოლკლორის, ქორეოგრაფიის, კულტურული მემკვიდრეობის, დოკუმენტური კინოხელოვნების, საქართველოში უცხოური ლიტერატურისა თუ ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ღირსების ორდენები გადასცა: როსტომ საგინაშვილს, ზაქარია ბერაძეს (ხარაგაულის რაიონი), ომარ კვარაკვახიძეს (ხარაგაულის რაიონი), იუზა ბერაძეს (ხარაგაულის რაიონი), სოსო დეკანოიძეს (საჩხერის რაიონი), გელა წერეთელს, ვალერი სტულმაშოვს (ახალქალაქის რაიონი), ნოდარ ფალიაშვილს, მურად ჯაფარიძეს, ია მაისაიას, ვაჟა ჩუბინიძე და ელზა ახვლედიანს.

*24 საათი*

# ვირტუალურიდან კინოსამყაროში

## სემ რეიმი World of Warcraft-ის კინოვერსიას გადაიღებს



თანამედროვე გასართობი კინოინდუსტრია სულ უფრო და უფრო განიცდის იდეების ნაკლებობას. უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ მხრივ იმდენად კრიზისული სიტუაცია შეიქმნა, რომ ან ძველი ფილმების რიმეიკებს იღებენ, ანაც კომიქსებისა და ვიდეო თამაშების ეკრანიზაციებს ახდენენ. ამჯერად რამდენიმე ახალი კინოპროექტის შესახებ მოგითხრობთ, რომელთაც საფუძვლად ცნობილი თამაშები დაედო.

განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია პროექტმა Warcraft, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ონლაინ თამაშის World of Warcraft-ის კინოვერსია იქნება. მისი რეჟისურა ასევე ცნობილ სემ რეიმის დაევალა. ფილმს "უორნერ ბრაზერსის" სტუდიაში გადაიღებენ, რომლის ნარმომადგენელმაც პროექტის ოფიციალურ პრეზენტაციაზე აღნიშნა: "ჩვენი კომპანია გასართობი კინოინდუსტრიის მძლავრი წარმომადგენელია, ამიტომ ამ თამაშის ეკრანიზაციამ ძალიან დაგვაინტერესა. შეუძლებელია, რომ პროექტმა პოპულარობა არ მოიპოვოს, რადგან მას სემ რეიმი საკულტო თამაშის მიხედვით იღებს".

Warcraft-ის ეკრანიზაციაზე საუბარი ჯერ კიდევ 2006 წლიდან მიმდინარეობს. მაშინ მის რეჟისორად თვით სტივენ სპილბერგს ასახელებდნენ, ფილმის ბიუჯეტი კი 100 მილიონი დოლარით განისაზღვრებოდა. ადვილი წარმოსადგენია, რა სანახაობას შექმნიდა ამ შესანიშნავი თემისგან სპილბერგი, თუმცა სანახაობრიობას არც რეიმის ნამუშევარი იქნება მოკლებული, რადგან ამ ჟანრში საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვს. იგი მუშაობას მიმდინარე წლის ბოლოს შეუდგება, ხოლო პროექტის მასშტაბურობის გათვალისწინებით ფილმის ნახვის საშუალება მხოლოდ 2011 წელს მოგვეცემა.

იმავე წელს ვიხილავთ კიდევ ერთ საინტერესო ფილმს, სათავგადასავლო ჟანრის Uncharted: Drake's Fortune-ს, რომელიც ამავე სახელწოდების მესამე პერსონის ექშენ თამაშის სიუჟეტს ეფუძნება. ფილმისთვის სცენარს "ჰიტმენ 2-ისა" და "კეინ და ლინჩის" ავტორი კაილ უორდი წერს. ფილმის, ისევე როგორც თამაშის მთავარი გმირია ახალგაზრდა მოგზაური ნათან დრეიკი. იგი თვით ადმირალ ფრენსის დრეიკის შთამომავალია და მეგობრებთან ერთად ლეგენდარულ ელდორადოს ეძებს. Uncharted: Drake's Fortune სტილისტიკითა და გეიმპლეით ძალიან ჰგავს "ტომბ რაიდერს", თუმცა იმ განსხვავებით, რომ აქ მეტი ექშენია, ხოლო თავად დრეიკი ლარა კროფტისგან განსხვავებით ჩვეულებრივი ადამიანია, რომელსაც ხანდახან ორმოზე გადახტომისაც კი ეშინია. თამაში არც იუმორსაა მოკლებული, რაც მას უფრო საინტერესოს ხდის. აქვე შეგახსენებთ, რომ ნოემბერში თამაშის მეორე ნაწილის, Uncharted 2: Among Thieves-ის გამოსვლაა დაგეგმილი.

26-ე საუკუნეში გადაგვიყვანს ფილმი Dead Space, რომლის რეჟისორიც დი ჯეი კარუზო იქნება. სწორედ ის გახლავთ რეჟისორი ფილმებისა "პარანოია" და "არწივის თვალი", რომლებშიც მთავარ როლს სპილბერგისა და მეიკლ ბეის ნებიერა შია ლებეფი თამაშობს, ამიტომ არაა გამორიცხული, "მკვდარ სამყაროშიც" ამ მსახიობს მოვკრათ თვალი. თუმცა ეს მაინც სათუო საკითხია, რადგან ლებეფის ზედმეტად ბავშვური გარეგნობა საერთოდ არ ჯდება ამ მისტიკური ტრილერის ჟანრში გადაწყვეტილი ფანტასტიკის ჩარჩოებში.

მომავალ წელს იგეგმება შუტერ Army of Two-ს ეკრანიზაციაც. მის სცენარს "ბორნის ულტიმატუმის" ერთ-ერთი ავტორი სკოტ ბერნსი დაწერს, რეჟისორისა და მთავარი როლების შემსრულებელთა ვინაობა კი ჯერ კიდევ დგინდება. პარალელურად თამაშის დეველოპერები იმ სტუდიის შერჩევითაც არიან დაკავებულნი, რომელიც პროექტის განხორციელებას მოჰკიდებს ხელს.

კომპანია Electronic Arts-მა თამაშ Dante's Inferno-ს ეკრანიზაციის შესახებაც გააკეთა განცხადება, თუმცა ამჯერად საუბარია ანიმაციურ ეკრანიზაციაზე. ამ პროექტს სტუდია Film Roman განახორციელებს, რომელმაც უკვე გადაიღო ხსენებული Dead Space-ის ანიმაციური პრიკველი. ფილმის რეჟისორია ვიქტორ კუკი. შეგახსენებთ, რომ თავად თამაში, რომელიც დანტე ალიგიერის "ღვთაებრივი კომედიის" სიუჟეტს ეფუძნება, 2010 წელს გამოვა.

### რომის პაპმა მუსიკარული ალბომი ჩაწერა

რომის პაპმა ბენედიქტ XVI-მ მუსიკარული ალბომი ჩაწერა. კომპაქტდისკს, რომლისთვისაც ჯერ სახელი შერჩეული არ არის, 30 ნოემბერს Geffen, Universal-ი გამოუშვებს.

ალბომში პონტიფიკი მღერის და ღვთისმშობლის ლოცვებს რომის მუსიკალური აკადემიის გუნდის თანხლებით კითხულობს. ალბომი ვატიკანში წმინდა პეტრს ბაზილიკაში ჩაიწერა.

დისკში ასევე წარმოდგენილი იქნება დიდი ბრიტანეთის სამეფო ფილარმონიის ორკესტრის მიერ შესრულებული რვა თანამედროვე კლასიკური ნაწარმოები, რომელიც ლონდონში ლეგენდარულ სტუდია Abbey Road-შია ჩაწერილი. ამ ალბომის შექმნის ინიციატივა იტალიურ მედიაჯგუფს Multimedia San Paolo-ს ეკუთვნის.

აღსანიშნავია, რომ დისკის გაყიდვიდან მიღებული სრული შემოსავალი საქველმოქმედო ფონდებში ჩაირიცხება და დახმარება გაეწევათ იმ ნიჭიერ ბავშვებს, რომლებთაც მუსიკალური განათლების მიღების შასუალება არ გააჩნიათ.

### რასელ ქროუ პოლ ჰაგისის ფილმში მთავარ როლს შეასრულებს

პოპულარული ავსტრალიელი მსახიობი რასელ ქროუ პოლ ჰაგისის ფილმში The Next Three Days მთავარ როლს შეასრულებს. ეს ფილმი 2008 წელს გადაღებული ფრანგული Pour Elle-ის ადაპტირებული ვარიანტი იქნება.

რასელ ქროუ შეასრულებს მასწავლებლის როლს, რომლის მეუღლე მკვლელობისთვისაა დაპატიმრებული. იგი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ მკვლელობა არ ჩაუდენია. ქროუს გმირი შეიმუშავებს გეგმას საყვარელი ადამიანის გასათავისუფლებლად.

ფილმის რეჟისორი, პოლ ჰაგისი, რომელმაც აღიარება ნამუშევრით "შეტაკება" (Crash) მოიპოვა, აცხადებს, რომ ქროუ არის იდეალური კანდიდატურა რიგითი ადამიანის როლზე, რომელიც კონრეტულ ვითარებაში არ დაიბნა. ამ ფილმის გადაღებები სექტემბრი ბოლოს პიტსბურგში დაიწყება.

რასელ ქროუმ მსოფლიო აღიარება "გლადიატორში" შესრულებული როლით მოიპოვა, რისთვისაც მას ამერიკის კინოაკადემიამ "ოსკარი" მიანიჭა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### რებეკა ჰოლი ბენ აფლეკის ფილმში ითამაშებს

ბრიტანელი მსახიობი რებეკა ჰოლი ბენ აფლეკის მეორე სარეჟისორო პროექტში - "ქალაქი", ერთ-ერთ მთავარ როლს შეასრულებს. თავად აფლეკი არა მხოლოდ გადაიღებს ფილმს, არამედ მასში შესრულებს მთავარ როლს - ბანკების მძარცველს, რომელსაც ბანკის თანამშრომელი შეუყვარდება.

რებეკა ჰოლის გმირს სურს, მისმა შეყვარებულმა ნესიერი ცხოვრებით იცხოვროს. ჰოლის გმირი მნიშვნელოვანი სამიზნე ხდება სამართალდამცავებისთვის, რომლებიც ცდილობენ მისი მეშვეობით ბოსტონის ყველაზე მოუხელთებელი დამნაშავის დაკავებას. ფილმის სიუჟეტის მიხედვით ერთ-ერთ დეტექტივს, რომელსაც ჯონ ჰემი განასახიერებს, ჰოლის გმირისადმი გრძნობები გაუჩნდება.

ფილმის მოქმედებები, რომელსაც ჩაკ ჰოგანის, რომანის მიხედვით შექმნილი სცენარით გადაიღებენ, ბოსტონში განვითარდება. რებეკა ჰოლმა საყოველთაო აღიარება ვუდი ალენის ფილმში - "ვიკი, კრისტინა, ბარსელონა" - შესრულებილი როლით მოიპოვა.

### "ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან" რიმეიკში ლინდსი ლოჰანსის ვიხილავთ

შესაძლოა, უახლოეს მომავალში კლასიკური კომედიის "ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან" (Some Like It Hot, 1959) რიმეიკი გადაიღონ. ფილმში მერლინ მონროს გმირის განსახიერება ლინდსი ლოჰანსს (Lindsey Lohan) სურს. სწორედ ლინდსი ლოჰანსია რიმეიკის გადაღების მთავარი ინიციატორი. მას უკვე ჰქონდა მცდელობა გადაღება რეჟისორ ბრეტი რატნერისთვის (Brett Ratner) შეეთავაზებინა. რატნერის უარზე გავლენა იმ გარემოებამ ითამაშა, რომ ამ დროსდ არ არსებობს სცენარი. თუმცა მსახიობი ჯიუტად აგრძელებს ბრძოლას რიმეიკის გადასაღებად.

"მას საკუთარი თავი რეინკარნირებულ მერლინ მონროდ მიაჩნია და სურს შეუდარებელი ფილმი, სადაც საკუთარი ტალანტის სრულად წარმოჩენას შესძლებს", - წერს DigitalSpy.

23 წლის მსახიობმა 2008 წელს ფოტოსესიაში მიიღო მონაწილება, რომელიც მერლინ მონროს მიეძღვნა. ამას წინათ მან ესპანური გამოცემა Vogue-ის გარეკანისთვის რამდენიმე ფოტო გადაიღო, სადაც მონრო განასახიერა.

# მეფე კონგი ბრუნდება

## გიგანტური გორილას საიდუმლოს ახალ ფილმში ამოხსნიან

მისი გიგანტური სხეული ყველას შოკში აგდებს, მის მრისხანე ხმას ოკეანის აღელვება შეუძლია, ხოლო ორთაბრძოლაში ბადალი არ ჰყავს - ტირანოზავრს ერთი ხელით მიწაზე დასცემს. თუმცა ამასთან ძალიან მგრძნობიარე და გულჩვილია, შეუძლია უყვარდეს და არაფერს ითხოვს გარდა იმისა, რომ ყველამ თავი დაანებოს. ეს მეფე კონგია - თავის ქალების კუნძულის მბრძანებელი, რომელიც მალე ახალი ფილმის პერსონაჟი გახდება, სადაც მის უდიდეს საიდუმლოს აეხდება ფარდა.



კინგ კონგის შესახებ უკვე არსებობს შვიდი სრულმეტრაჟიანი ფილმი, თუმცა არც ერთ მათგანში არ გვხვდება მინიშნებაც კი მისი წარმომავლობის შესახებ, იმაზე, თუ რამ განაპირობა ერთი შეხედვით ჩვეულებრივი გორილას ასეთი არანორმალური ზომები, არსებობენ თუ არა კიდევ მისი მსგავსი პრიმატები, საიდან მოხვდა ამ კუნძულზე და ასე შემდეგ. სწორედ ამ საიდუმლოს ამოხსნას აპირებენ ახალი ფილმის "კონგი: თავის ქალების კუნძულის მეფე" ავტორები. ფილმის სიუჟეტი ჯო დე ვიტოსა და ბრედ სტრიკლენდის 2005 წელს გამოსულ რომანს დაეფუძნება. როგორც ირკვევა, სწორედ ამ ნაწარმოებშია აღწერილი, თუ როგორ გაიმარჯვა სხვა გიგანტურ გორილებთან და დინოზავრებთან ბრძოლაში კინგ კონგმა და კუნძულის ერთპიროვნული მბრძანებელი გახდა. რაც შეეხება ფილმის შესახებ სხვა დეტალებს, ჯერჯერობით ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ მას motion-capture-ის ტექნოლოგიის გამოყენებით გადაიღებენ. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ ტექნოლოგიითაა გადაღებული რობერტ ზემეკისის "ბეოვულფი" და "პოლარული ექსპრესი".

კინგ კონგის შესახებ პირველი ფილმი შორეულ 1933 წელს გამოვიდა. მისი სცენარი ახლა უკვე კლასიკურ ნაწარმოებადაა მიჩნეული, რომელიც მოგვიანებით 1976 და 2005 წლებში გადაღებულ რიმეიკებსაც დაედო საფუძვლად: კინემატოგრაფისტების ჯგუფი ტროპიკულ კუნძულზე გემით მიემგზავრება, სადაც ველური ტომების გარდა გიგანტურ გორილასაც აღმოაჩენენ. ნანახით შთაგონებული რეჟისორი გორილას ნიუ იორკში გადაყვანის ორგანიზებას გააკეთებს, სადაც გოგონაზე შეყვარებული კინგ კონგი ცათამბჯენის სახურავზე თვითმფრინავებიდან დაშვებული ავტომატის ჯერით კვდება. სწორედ აქ ამბობს რეჟისორი საკულტო ფრაზას: "იგი თვითმფრინავებმა კი არა სილამაზემ მოკლა". ეს ფრაზა ყველა დანარჩენ ეკრანიზაციაშიც ჟღერს.

კინგ კონგის დაბადება რამდენიმე წლით ადრე არტურ კონან დოილის ნაწარმოების მიხედვით გადაღებულმა კლასიკურმა ფილმმა "დაკარგულმა სამყარომ" განაპირობა. ეს ფილმი იმდენად პოპულარული იყო, რომ კინოსტუდიები ანალოგიურ სცენარზე ნადირობდნენ, თუმცა პროექტის განხორციელებას მაშინდელი ტექნოლოგიური ეფექტების სიმწირე უშლიდა ხელს. საბოლოოდ კი გიგანტურ მაიმუნზე დაწერილი სცენარი შეარჩიეს. ფილმი იმ პერიოდისთვის დიდი ტექნოლოგიური გარღვევა იყო, რადგან ცალკეულ კადრებში ცოცხალი ადამიანები და ანიმაციური ფიგურები ერთად ჩანან.

საინტერესოა, რომ თავდაპირველად ფილმს "მხეცი" (The Beast) უნდა რქმეოდა, შემდეგ "მაიმუნების მეფე" და "სამყაროს მერვე საოცრება", პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე კი სათაურის საბოლოო ვარიანტი შეირჩა. საბოლოო სცენის გადაღება თავდაპირველად ნიუ იორკის "კრაისლერ ბილდინგზე" იგეგმებოდა, თუმცა ემპაირ სთეით ბილდინგის მფლობელებმა მშენებლობა დააჩქარეს, რამდენიმე სართული და დირიჟაბლის დასაჯდომი მოედანი დაამატეს და ნიუ იორკის ყველაზე მაღალი შენობის წოდებაც დაიმსახურეს. ეს კი უკვე ნიშნავდა, რომ კინგ კონგი სიყვარულისთვის სწორედ აქ იბრძოლებდა.

ფილმს არნახული წარმატება ხვდა წილად, ამიტომ კინოსტუდიამ პრაქტიკულად რამდენიმე თვეში ახალი ფილმი "კინგ კონგის შვილი" გამოუშვა, რომელიც გაპრავებაში უმოწყალოდ ჩავარდა. 1962 წელს მეფე კონგი ისევ გაიხსენეს, როდესაც ეკრანზე ამერიკულ-იაპონური "კინგ კონგი გოძილას წინააღმდეგ" გამოვიდა, შემდეგ იყო "კინგ კონგის გაქცევა", ხოლო 1976 წელს საბჭოთა მაყურებლისთვის კარგად ცნობილი "კინგ კონგი" ჯესიკა ლანჟითა და ჯეფ ბრიჯესით მთავარ როლებში. ალბათ კარგად გახსოვთ ასევე საბჭოთა გაქირავებაში გამოსული "კინგ კონგი ცოცხალია", რომელიც კინოთეატრ "რუსთაველშიც" კი გადიოდა. უფრო კარგად კი ცხადია პიტერ ჯექსონის ფილმი იცნობთ, რომელი 2005 წელს გამოვიდა და ბლოკბასტერადაც იქცა.

# უთავო ვიკინგები

ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე, ქალაქ უეიმუთის (დორსეტის საგრაფო) მახლობლად, კომპანია Oxford Archaelogy-ს არქეოლოგებმა თავმოჭრილი მამაკაცების, სავარაუდოდ, ვიკინგების, კოლექტიური სამარხი აღმოაჩინეს. ამის შესახებ ინფორმაციას National Geographic News-ი ავრცელებს. პირველადი გამოკვლევის შედეგად, მონაპოვარი ძვ.წ.აღ-ის 830-1034 წლებს მიაკუთვნეს, ანუ ზუსტად იმ ეპოქას, როდესაც ანგლოსაქსები სკანდინავიიდან მოსულ მეომრებს ებრძოდნენ.



საძმო სასაფლაოზე 51 ადამიანის ნეშტს მიაკვლიეს. ისინი, როგორც ჩანს, ყველანი ჯანმრთელები, ახალგაზრდები და ათლეტური აღნაგობისანი იყვნენ. მათი თავის ქალებიც იმავე ორმოში იყო დამარხული, რომელშიც სხეული, მაგრამ განცალკევებით. მათზე ხმლისა და ნაჯახის დარტყმის კვალი, ძირითადად, კისერზე. თავსა და ყბაზეა შემორჩენილი. ერთმა მამაკაცმა კი, როგორც ჩანს, ხელი აღმართა იმისათვის, რომ საკუთარი თავი დაეცვა და მას თითები მოაჭრეს. საყურადღებოა, რომ მსხვერპლს ორმოში ჩაყრამდე მკვლელებმა ტანზე გახადეს.

მართალია, ჩონჩხებზე დეტალური ანთროპოლოგიური გამოკვლევა ჯერ არ ჩაუტარებიათ, მაგრამ არქეოლოგებს აქვთ საფუძველი ივარაუდონ, რომ მათ მიაკვლიეს ვიკინგებს და არა ანგლოსაქსებს. მოკლულები ბორცვის წვერში დაუმარხავთ, რაც ბუნებრივი და დამახასიათებელია ადგილობრივი მოსახლეობისთვის და არა მომხდურებისთვის: ვიკინგები ხომ მსხვერპლს ბრძოლის ან სიკვდილის ადგილას ტოვებდნენ... რამდენადაც აქ საქმე ეხება თავის მოჭრის ფაქტს, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უეიმუთის შემოგარენში აღმოჩენილ სამარხში ჩაყრილია იმ ვიკინგების ცხედრები, რომლებიც კუნძულის სიღრმეში შეიჭრნენ და ადგილობრივმა მოსახლეობამ ტყვედ აიყვანა.

უახლოეს მომავალში მეცნიერები საძმო სასაფლაოში აღმოჩენილი ნეშტისათვის ორი სახის გამოკვლევის ჩატარებას გეგმავენ. თავდაპირველად ისინი გამოარკვევენ მოკლულთა კბილების ქიმიურ შემადგენლობას, რადგანაც, როგორც წესი, სწორედ ამის მიხედვით შეიძლება დაზუსტებით განისაზღვროს ადამიანის წარმოშობა. ამის შემდეგ, მეცნიერები გარდაცვლილთა ჩონჩხს გამოიკვლევენ, რაც მათ მოკლული მამაკაცების საქმიანობის სფეროს დადგენაში დაეხმარება. თუ ისინი ნამდვილად ვიკინგები იყვნენ, ამ შემთხვევაში მათი უმრავლესობა მენიჩბე უნდა ყოფილიყო, რაც მათი მხარის, ზურგისა და ხელების ხაზის განვითარებაზეც უნდა აღინიშნოს.

ვიკინგების თემასთან დაკავშირებით არაერთი აღმოჩენა და საჯარო განხილვა გამართულა, რომ აღარაფერი ვთქვათ სამეცნიერო კონფერენციებზე. ამაზე უკანასკნელად 2009 წლის 13 მარტს, კემბრიჯში იმსჯელეს. სამდღიანი კონფერენცია ადრეულ შუასაუკუნეებში ვიკინგებისა და ბრიტანეთის კუნძულების მოსახლეობის ურთიერთზემოქმედების სამშვიდობო ასპექტებს მიეძღვნა. ამ სიმპოზიუმის ორგანიზატორების მოსაზრებით, დადგა დრო, როდესაც ყურადღება უნდა მიექცეს IX-XIII საუკუნეების ანგლოსაქსებისა და სკანდინავიელების შერევის ისტორიას. ამის შესახებ The Guardian-ი იუწყებოდა. მაშინ ამ საინფორმაციო წყაროს მიმომხილველმა საზოგადოებას შეახსენა, რომ 2007 წელს დანიის კულტურის მინისტრმა ბოდიში მოიხადა ირლანდიელების წინაშე იმ ზარალისათვის, რომელიც მათ უძველესმა ზღვაოსნებმა მიაყენეს. ვარაუდობენ, რომ კემბრიჯის კონფერენციის შემდეგ შესაძლოა ბრიტანელებსა და ირლანდიელებსაც გაუჩნდეთ ვიკინგების შთამომავლებისადმი ბოდიშის მოხდის სურვილი.

# ქალები მაღლა, ვაჟები - დაბლა

## WTA და ATP რეიტინგებში ცვლილებებია

ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) მიერ გამოქვეყნებულ ახალ რეიტინგში ქართველთაგან საუკეთესო კვლავაც ანა ტატიშვილია. ოქსანა კალაშნიკოვას კი ხარკოვის ტურნირის მეოთხედფინალში გასვლისთვის 14 ქულა დაემატა და რვა საფეხურით დაწინაურდა. 18 წლის კალაშნიკოვას კიდევ უფრო საგრძნობი წინსვლა ელის მომავალი კვირისთვის, როდესაც კლასიფიკაციაში ალმა-ათის ტურნირის ფინალში გასვლისთვის 34 ქულა დაერიცხება. ბოლო პერიოდში წარუმატებელმა ასპარეზობებმა 285-ე საფეხურიდან 308-ზე ჩამოაქვეითა სოფო შაფათავა. მთლიანობაში WTA რეიტინგში რვა ქართველი ჩოგბურთელი მოხვდა.

ცვლილებებია ქალთა საუკეთესო ათეულშიც. მაგალითად, ელენა იანკოვიჩმა სვეტლანა კუზნეცოვა მეხუთედან მეექვსე საფეხურზე ჩამოაქვეითა, ხოლო კაროლინა ვოზნიაცკიმ ვიქტორია აზარენკას მერვე ადგილი მეცხრეში გაუცვალა.

ქართველ ვაჟთათვის არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) რეიტინგში. ქალებისგან განსხვავებით, მათი უმეტესობა მდგომარეობას ირთულებს, რასაც ნუსხისთვის თვალის გადავლებითაც მიხვდებით.


ფედერერი ATP რეიტინგს სათავეში უდგას

ბობოლათა ათეულს კი მხოლოდ ერთი ცვლილება შეეხო. რუსი ნიკოლაი დავიდენკო ხორვატიის უმაგას კორტებზე გამარჯვებამ რეიტინგში მეცხრედან მერვე საფეხურზე გადაიყვანა. ამ შემთხვევაში რუსს როქის გადათამაშება მოუხდა ფრანგ ჟილ სიმონთან.

ათეულს სათავეში უდგას შვეიცარიელი როჯერ ფედერერი, რომელსაც ფეხდაფეხ მისდევს რაფაელ ნადალი. ესპანელს კი ბრიტანელი ენდი მიურეი ჩამორჩება.

**ATP რეიტინგი**

| | |
|---|---|
| 1 (1). როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 11060 |
| 2 (2). რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 9285 |
| 3 (3). ენდი მიურეი (დ. ბრიტანეთი) | 8260 |
| 4 (4). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 7380 |
| 5 (5). ენდი როდიკი (აშშ) | 5470 |
| 6 (6). დელ პოტრო (არგენტინა) | 5005 |
| 7 (7). ჟო ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი) | 3695 |
| 8 (9). ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3525 |
| 9 (8). ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 3330 |
| 10 (10). ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 3135 |

***

643 (599). ირაკლი ლაბაძე - 48;
727 (734). ნიკოლოზ ბასილაშვილი - 33;
1087(953). ლაზარე კუხალაშვილი - 10;
1101 (1107). ლადო ჩიხლაძე - 9;
1726 (1726). სოზარ გოქაძე - 1;
1765 (1528). ნოდარ ითინიშვილი - 1;
1765 (1735). გიორგი რევაზიშვილი

**WTA რეიტინგი:**

| | |
|---|---|
| 1 (1). დინარა საფინა (რუსეთი) | 9601 |
| 2 (2). სერენა უილიამსი (აშშ) | 8628 |
| 3 (3). ვინუს უილიამსი (აშშ) | 6935 |
| 4 (4). ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 6591 |
| 5 (6). ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 5930 |
| 6 (5). სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 5853 |
| 7 (7). ვერა ზვონარევა (რუსეთი) | 5400 |
| 8 (9). კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 4750 |
| 9 (8). ვიქტორია აზარენკა (ბელორუსი) | 4538 |
| 10 (10). ნადია პეტროვა (რუსეთი) | 3290 |

***

| | |
|---|---|
| 173 (174). ანა ტატიშვილი | 344 |
| 220 (228). ოქსანა კალაშნიკოვა | 241 |
| 242 (243). მაკა ჩახნაშვილი | 212 |
| 308 (285). სოფო შაფათავა | 143 |
| 501 (508). ეკატერინე გორგოძე | 62 |
| 515 (528). სოფო ქვაცაბაია | 60 |
| 555 (588). მანანა შაფაქიძე | 51 |
| 975 (949). სოფო მელიქიშვილი | 10 |

# შუმახერს ტესტების უფლებას არ აძლევენ


"რედ ბული" და "უილიამსი" შუმახერის ტესტირებებს ეწინააღმდეგებიან

"რედ ბული" და "უილიამსი" წინააღმდეგნი არიან იმისა, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა, უნგრეთში ტრავმირებული ფელიპე მასას "ფერარი F60-ით" ერთდღიანი ტესტები ჩაატაროს.

ფორმულა ერთის წესებით, ჩემპიონატის დროს, ტრასაზე ჩემპიონატში მონაწილე ავტომობილის ტესტირება მკაცრად იკრძალება. ამის გამო, შუმახერმა მუჯელოში (ეს ქალაქი ფლორენციის მახლობლად მდებარეობს) ორი წლის წინანდელი, კერძო ფირმისგან ნაქირავები მანქანით ივარჯიშა (სურათზე).

"რედ ბულის" შეფი კრისტიან ჰორნერი თვლის, რომ თუ "ტორო როსოს" ესპანელ ახალწვეულ ხაიმე ალგერსუარის ფორმულა 1-ში დებიუტამდე "საბრძოლო" ბოლიდით ვარჯიშის უფლება არ მიეცა, მაშინ გამონაკლისი არც შუმახერისთვის უნდა დაუშვან.

"უნგრეთში დებიუტამდე, ხაიმე ალგერსუარი ფორმულა ერთის სარბოლ მანქანაში არასდროს მჯდარა, მაგრამ რბოლაზე მაინც გამოვიდა და უპრობლემოდ იასპარეზა. ვფიქრობ, ჩვევების დაბრუნება არც მიხაელს უნდა გაუჭირდეს, ვისაც შვიდი ტიტული აქვს მოპოვებული და 91 რბოლა - მოგებული. მან ორი წლის წინანდელი მანქანით უკვე ივარჯიშა და ვფიქრობ, სიჩქარესთან დაკავშირებით, პრობლემები არ უნდა ჰქონდეს. დარწმუნებული ვარ, რამდენიმე წრე ეყოფა იმისათვის, რომ ძველი ჩვევები გაიხსენოს", - ამბობს ჰორნერი.

საკითხს სხვა კუთხით განიხილავს "უილიამსის" შეფი ფრენკ უილიამსი, ვისი თქმითაც, თუ შუმახერი მასას მანქანით ვარჯიშის უფლებას მიიღებს, მაშინ წესის დარღვევის პრეცედენტი შეიქმნება და მომავალში მის დარღვევას სხვებიც მოინდომებენ.

"ფორმულა 1-ში მიხაელ შუმახერის დაბრუნებას მივესალმებით, მაგრამ ფაქტია, რომ წესები სეზონის მსვლელობისას ვარჯიშების ჩატარებას ნებისმიერი ფორმით გვიკრძალავს. ამ წესებს თავის დროზე ყველა გუნდი დაეთანხმა. სულ ახლახანს, ალგერსუარის, ვინც პირველად უნდა მისჯდომოდა ფ1-ის საჭეს, მანქანასთან მიჩვევის საშუალება არ მისცეს. ჩვენს გუნდს ალგერსუარისა და შუმახერს შორის, ამ მხრივ, განსხვავების დაშვება გაუმართლებლად მიაჩნია. ასე მოქცევის შემთხვევაში, შევქმნით პრეცედნტს, რის გამოც, ეს წესი არაერთხელ დაირღვევა", - ამბობს უილიამსი.

*მერაბ ლორთქიფანიძე*
*http://formula1ge.blogspot.com/*



დავით კოვზირიძის სვეტი

# სოკერმარკეტი

მსოფლიო ფეხბურთში ფუნქციები ყოველთვის ასე იყო გადანაწილებული - ცენტრი ევროპაში მდებარეობდა, აქ კონტროლდებოდა ბაზარი, ფასები, წესები, აქ იბადებოდა სამომავლო იდეები და გეგმები. სწორედ ევროპის გარშემო ტრიალებდა, ტრიალებს და კიდევ დიდხანს იტრიალებს საფეხბურთო გლობუსი.

აქ მარკეტინგზე, ანუ უფრო საკლუბო ფეხბურთის სტრუქტურაზეა ლაპარაკი, თორემ წმინდა სპორტული თვალსაზრისით საკლუბო დონე სამხრეთ ამერიკაში სულაც არაა ნაკლები და ხშირად გვინახავს, როგორ აფხრეწდნენ ისინი ბურთს თავზე საუკეთესო ევროპულ დინოზავრებს. თუმცა ისიც გვინახავს, რომ ამის მერე იმ სამხრეთამერიკული გუნდების ჯადოქრები აქეთ მოდიოდნენ ფულის საშოვნელად და არა მარტო სპორტულ ელიტაში ფეხის მოსაკიდებლად.

ევროპული საფეხბურთო სისტემა იმდენად გამართულადაა აწყობილი (თუნდაც საუკეთესო პროექტი - ჩემპიონთა ლიგა ავიღოთ), რომ მხოლოდ ერთი, ძველი დონორი, სამხრეთ ამერიკა აღარ ჰყოფნის და ბოლო ხანებში გეოგრაფიულ-ეგზოტიკურ გაფართოებაზე ზრუნავს. ფიფაც აქვეა: მსოფლიო ჩემპიონატი ჯერ ამერიკაში ჩატარდა, მერე აზიაში, ახლა აფრიკაა რიგში და აღარც ავსტრალიაა ისე შორს, ჩვენ რომ გვგონია.

ამერიკულმა და აზიურმა პროექტებმა ევროპის წისქვილზე ნაკლებად დაასხა წყალი - ეს ორი გრანდიოზული ტერიტორია თითქოს თავის ნაჭუჭში ჩაიკეტა და სხვადასხვა მიზეზთა გამო ევროპაში მიგრაცია ნაკლებად მასშტაბური გამოვიდა. მეტიც, მარკეტინგის "აკადემიაში", ამერიკის შეერთებულ შტატებში, სოკერს იმდენად კარგად აუღეს ალღო, რომ იქით მიჰყავთ ფულის დამწერი ვარსკვლავები დევიდ ბექჰემის თამადობით. ეს ადრეც მომხდარა ნიუ-იორკის "კოსმოსში", მაგრამ ის ერთჯერადი აქცია იყო, ამჯერად კი პროცესი საფუძვლიანადაა დაძრული. იქაც, ყატარშიც და მალე ალბათ ახალი წერტილებიც გამოჩნდება. თუმცა ის, რომ მიგრაცია სიმბოლურია, სულაც არ ნიშნავს გეოგრაფიის ზრდის მცდარობას და არც ევროპას უნდა ეშინოდეს ახალი "საბადოების" გამოჩენის. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

სამაგიეროდ, ეკონომიკურად სუსტმა აფრიკამ გაამართლა ისე, რომ მიგრანტების რაოდენობით (ხარისხის რა გითხრათ) მგონი სამხრეთ ამერიკაც ჩამოიტოვა. აგერ, ახლახან დამთავრდა აფრიკის თასი, რომლის მონაწილეთა დაახლოებით 90 პროცენტი ჩვენს კონტინენტზე მუშაობს.

ზემოთ აფრიკელთა ხარისხი ცოტა უდიერად მოვიხსენიე. ამ შემთხვევაში სულაც არ მიგულისხმია ჯანიან ლეგიონერთა წვლილი საკუთარი კლუბების წარმატებებში - დღეს ბევრ ევროპულ გუნდს აფრიკელი ლიდერი თუ არა, ერთი ან რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ჰყავს - სწრაფი, ღონიერი, დაუღალავი. ეს ფაქტია. უბრალოდ, საფეხბურთო ინტელექტს ვადარებ: აფრიკელების და სამხრეთამერიკელების, აფრიკელების და ევროპელების.

განაში გამართულ აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშებაზე, ძალიან საინტერესო და სანახაობრივ ტურნირზე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ სხვაობა ჯერ კიდევ დიდია. ისეთი არა, როგორც თუნდაც ათი წლის წინ, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, ამ ბიჭების მთელი თაობები წლებია თამაშობენ ევროპაში, ვარსკვლავების და დიდი მწვრთნელების გვერდით. პარალელურად, ცნობილი სპეციალისტები უკვე აფრიკულ ნაკრებებსაც წვრთნიან.

თუმცა ამ ინტელექტის გამოთლას გარემოს შეცვლასთან ერთად გენეტიკაც ესაჭიროება. საკუთარი ჩემპიონატის რესურსებით აშენებული ეგვიპტე ამის მშვენიერი დასტურია.

საინტერესო კი ისაა, როდემდე იქნება მსოფლიო ფეხბურთის სათავო ოფისი ევროპა და რომელი ფილიალი გაუწევს მას პირველ სერიოზულ კონკურენციას.

*მომავალ სამშაბათამდე*

# უნივერსიტეტიდან - უნივერსიტეტის პიკამდე

ავთანდილ ჭყვიშელი



არა, ნამდვილად არ გაუმართლა თბილისის მერიის ალპინიადის მონაწილეებს, რომლებიც სტეფანწმინდის რაიონში, ხდის ხეობაში სალაშქროდ ავიდნენ. გამუდმებით, ლამის გადაუღებლად წვიმდა და წვიმდა. საბაზო ბანაკში ყოფნისას ალპინიადის მონაწილენი, რომლებიც ძირითადად თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და მათი აღმზრდელები იყვნენ, მიტო დანგაძეს, ცეცხლზე შემომდგარ ქვაბებს ქაფქირით რომ დასტრიალებდა, ნაღვერდალს სთხოვდნენ, რომ თავიანთი კარვების წინ საკუთარი, პატარა კოცონი გაეჩაღებინათ, რათა გალუმპული სამოსი როგორმე გაეშროთ. თავად მიტო დანგაძეს, "თავის" კოცონს ნამდვილი ცეცხლფარეშივით რომ დასტრიალებდა, მთელი ალპინიადის განმავლობაში ერთხელაც არ ჩაუქრია. უგემრიელეს კერძებს ამზადებდა. ბევრ ახალბედას, პირველად რომ იყო მთაში, ეს კაცი მზარეული ეგონა. ჰოდა, უნდა გენახათ მათი სახეები, როცა გაიგეს, მიტო დანგაძე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და ქართული ალპინიზმის ისტორიაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ყველაზე მეტი მედლის მფლობელია, აქ კი სამაშველო სამსახურს მეთაურობსო. ისიც დასძინეს, ეს კაცი თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი და პედაგოგი გახლავთო.

რაკი მეთაურობაზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე ისიც უნდა გითხრათ, რომ ალპინიადას მეთაურობდა საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტი, ასევე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და საკავშირო ჩემპიონატების მრავალი "ოქრო-ვერცხლის" მფლობელი შოთა მირიანაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკოსი და ერთ-ერთი ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

ამ ალპინიადაზე სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი იყო სპორტის დამსახურებული ოსტატი, პროფესორი ხუტა (აკაკი) ხერგიანი, საქართველოს სპორტის აკადემიაში ტურიზმისა და ალპინიზმის კათედრის ხელმძღვანელი და პირველი საბჭოთა ევერესტელი ალპინისტთაგანი.

ალპინიადის ხელმძღვანელობას ხდის ხეობაში მხარში ედგნენ მთამსვლელები და ალპინიზმის ინსტრუქტორები: მარიამ ბარძემიშვილი, დავით მჭედლიშვილი, ოთარ თათარაშვილი, ოთხი გიორგი - მჭედლიშვილი, რეხვიაშვილი, სალინაძე და მაჭავარიანი, აგრეთვე ავთანდილ გურასაშვილი. ისინი ათეულებად დაყოფილ 160-კაციან ლაშქარს საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ ალპინიადის მონაწილეთაგან დაახლოებით 30 პროცენტმა იმედი ვერ გაამართლა. ზედა ბანაკში, რომელიც 2500 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობდა, უამინდობამ ისინი შეაკრთო, შეაფიქრიანა და თავქუდმოგლეჯილნი უნებართვოდ ქვემოთ გააქცია, რამაც ალპინიადის მსვლელობაში დისონანსი შეიტანა.

ზოგი ჭირი მარგებელიაო და მძიმე ზურგჩანთებით საიერიშო ბანაკისკენ ავდარში მთელი დღით სიარულმა ნათლად აჩვენა, თუ მომავალში ვისი იმედი შეიძლება ჰქონდეთ და ვისი არა - ეს ავდარი ხომ მცირეოდენი გამოცდა იყო იმასთან შედარებით, რაც მწვერვალებისკენ მიმავალ კაცს ხშირად გზად ელოდება. ესაა: ყინვა, ქარბუქი, ჭექა-ქუხილი, ზვავი, ქვათაცვენა და შიმშილიც!

ერთი სიტყვით, ვინც ფიზიკურად და სულიერად ასეთი გამოცდისთვის მზად იყო, ხდის ხეობის უკიდურეს სიღრმეში, კიბიშის უღელტეხილის სიახლოვეს აღმართულ, 3800 მეტრამდე სიმაღლის მწვერვალ "უნივერსიტეტის პიკზე" ავიდა, ოღონდ მათ ეს ლაშქრობა მხოლოდ ყოველივე ამით როდი დაამახსოვრდებათ. ალპინიადის ბევრმა მონაწილემ, რომელმაც თბილისის უნივერსიტეტიდან ამავე სასწავლებლის სახელობის პიკამდე ასასვლელად პირველად იმოგზაურა ლარსამდე, გაიცნო უაღრესად საინტერესო საქართველოს სამხედრო გზა, მოინახულა 2170 მეტრზე ცადატყორცნილი გერგეტის სამება, დარიალის ხეობის ბოლოს, თერგის გაღმა შემორჩენილი თამარის ციხის ნანგრევები თუ გამოღმა, ხდის ხეობის დასაწყისში მშენებარე ტაძარი, ალექსანდრე ყაზბეგის მიერ აღწერილი ხევის სოფლები... ეს ყოველივე კი სულაც არ იყო მეორეხარისხოვანი, რაკი ახალგაზრდა თაობამ ცოდნის ჰორიზონტი გაიფართოვა და ამან პატრიოტიზმის გრძნობაც უფრო გააღვივა.

- ეს თბილისის მერიის მიერ ორგანიზებული საქალაქო ალპინიადის მეორე ეტაპი იყო, - გვეუბნება შოთა მირიანაშვილი, - პირველი ეტაპი ხევსურეთში აღმართულ ჭაუხებზე, მწვერვალ ვაჟა-ფშაველაზე მოეწყო. თბილისის მერიამ ამ ალპინიადისთვის არაფერი დაიშურა - სამგზავროდ გამოყო ავტობუსები, მთამსვლელთა ფედერაციას კი გადასცა ათი კარავი, ოცი საძილე ტომარა, 24 კარაბინი და, რა თქმა უნდა, ნაირგვარი საკვები, რისთვისაც მისი მადლიერნი ვართ. ვიმედოვნებ, თბილისის მერიის ალპინიადები ტრადიციული გახდება. თუ მისი ყველა მონაწილე ნამდვილი მთამსვლელი ვერ დადგება, ეს ალპინიადები სხვა მხრივ მაინც არანაკლებ სასარგებლო იქნება, რაც მომავალი თაობის ფიზიკურ და სულიერ სიჯანსაღეს ხელს შეუწყობს. აქვე მინდა ვთქვა, რომ ჩვენს ფედერაციას საზაფხულო ალპინისტური ბანაკების თაობაზე მთელი რიგი წინადადებები აქვს შემუშავებული. მათი რეალიზება ჩვენს მუშაობას ეფექტურს გახდის, ბოლოს კი ალპინიადის მთელი ხელმძღვანელობის სახელით უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ლარსში სახელმწიფო საზღვრის დაცვის ხელმძღვანელობას, რომლის უანგარო დახმარებამ ამ ღონისძიების წარმატებით დასრულებას ხელი შეუწყო.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობა, (მისამართი: ქ. თბილისი 0105, გ. ლეონიძის ქ. N2) აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე მდებარე შენობების დაზიანებული თუნუქის სახურავების შეკეთების III ეტაპის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესაკეთებელია 23000 კვ.მ. თუნუქის სახურავი. შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც ტენდერში მონაწილეებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა 2009 წლის 31 დეკემბერი.

4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2009 წლის 24 აგვისტოს 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.

5. სატენდერო მოსაკრებელის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს, გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ძველი თბილისი), ს/კ 206160606, ანგარიში N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი - 300773174. გადახდის დანიშნულება - ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე შენობების სახურავების შეკეთების III ეტაპის სამუშაოების სატენდერო მოსაკრებელი. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

6. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 25 აგვისტოს 10 საათიდან 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5.

7. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

8. ტენდერში მონაწილის (სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე - მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

8.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

8.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი
ქმედუნარიანია;

ბ) საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის დამადასტურებელ საბუთს;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნოტარიალურად დამოწმებულ ასლს.

8.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაციას ბოლო პერიოდში ანალოგიურ სამუშაოთა შესრულების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს პრეტენდენტის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

დ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია დავალიანება ბიუჯეტის მიმართ;

ე) ცნობას მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

ვ) ცნობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტოდან, რომ პრეტენდენტის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ზ) ცნობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ პრეტენდენტი არ არის შეყვანილი არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში;

თ) ცნობას მომსახურე ბანკიდან რომ პრეტენდენტს საბანკო ანგარიშზე აქვს თანხა სატენდერო წინადადების 10 პროცენტის ოდენობით, ან გახსნილი აქვს ამავე ოდენობის საკრედიტო ხაზი.

9. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან მათი ნოტარიალურად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული სახით. კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-8 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში, მისი დისკვალიფიკაცია შესაძლებელია ტენდერის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

10. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება წინამდებარე განცხადების მერვე მუხლით მოთხოვნილი ცნობები და ინფორმაცია, გარდა მერვე მუხლის 8.3. პუნქტის "ა", "ბ" და "დ" ქვეპუნქტების მოთხოვნებისა. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ განცხადების გამოქვეყნების შემდგომ პერიოდში.

11. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა (ღირებულების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების (ღირებულების 2%-ის ოდენობით) უზრუნველყოფის საბანკო გარანტირების მექანიზმი.

12. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მთავარ სპეციალისტს, სატენდერო კომისიის აპარატის წევრს - დავით კასრაძეს ზემოთაღნიშნულ მისამართზე.

ტელ: 92-04-09; 93-11-90; 92-04-10; 93-11-40.

*ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის*
*გამგეობის სატენდერო კომისია*

# ტენდერი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra
Swiss Cooperation Office for the South Caucasus
Georgia, Embassy of Switzerland

Embassy of Italy in Tbilisi
Italian Development Cooperation

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო - SDC, რომელიც წარმოადგენს შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნაწილს და იტალიის საელჩო-იტალიის განვითარების თანამშრომლობა - IDC აცხადებენ ტენდერს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევენ ყველა დაინტერესებულ სამშენებლო კომპანიას, წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები.

**პრეამბულა**

საქართველოში სოციალურად დაუცველი ფენისაკენ მიმართული (მიმდინარე) სოციალური რეფორმების თანახმად, ასევე "იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის", მისი სამოქმედო გეგმის და მთავრობის პოზიციის გათვალისწინებით, რომელიც მიზნად ისახავს იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად,

SDC გაერო-ს ლტოლვილთა საქმეების უმაღლეს კომისარიატის (UNHCR) მხარდაჭერითა და IDC-თან თანამშრომლობით დახმარებას უწევს საქართველოს მთავრობას ამჟამად კოლექტიურ ცენტრებში და/ან არაადეკვატურ კერძო საცხოვრებლებში მცხოვრები სოციალურად ყველაზე დაუცველი და იზოლირებული იძულებით გადაადგილებული პირების, რომელთაც საბინაო პრობლემები აქვთ და ასევე სოციალურად დაუცველი, სოციალურად იზოლირებული და უსახლკარო ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით მდგრადი და ხანგრძლივი გზით უზრუნველყოფაში და ახორციელებს პილოტურ პროექტს "სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში"

**შესყიდვის ობიექტები**

**თბილისი 1** ერთი სამ-სართულიანი სოციალური საცხოვრებლის (სულ 12 ბინა) მშენებლობა მისამართზე, ვარკეთილი III, 2 მიკრორაიონი (საერთო მოცულობით დაახლოებით 2075.35მ3).

**თბილისი 2** ერთი სამ-სართულიანი სოციალური საცხოვრებლის (სულ 12 ბინა) მშენებლობა მისამართზე, ვარკეთილი III, 2 მიკრორაიონი (საერთო მოცულობით დაახლოებით 2075.35მ3). დაფინანსდება IDC-ს მიერ.

**ბათუმი** ორი ორ-სართულიანი სოციალური საცხოვრებლის (სულ 14 ბინა) მშენებლობა მელიქიშვილისა და ოსტროვსკის ქუჩების გადაკვეთაზე (საერთო მოცულობით დაახლოებით 3162.09 მ3).

**ქუთაისი** ორი ორ-სართულიანი სოციალური საცხოვრებლის (სულ 14 ბინა) ზ. ჭავჭავაძის ქუჩა N 24 სკოლის დასავლეთით, ნაკვეთი N11-12 (საერთო მოცულობით დაახლოებით 3162.09 მ3).

**ზუგდიდი** ორი ორ-სართულიანი სოციალური საცხოვრებლის (სულ 14 ბინა) მისამართზე ჩაის ფილიალი (საერთო მოცულობით დაახლოებით 3162.09 მ3) მე 10-ე სკოლის მახლობლად.

**გორი** ორი ორ-სართულიანი სოციალური საცხოვრებლის (სულ 14 ბინა) მოსკოვის ქუჩა გორის ყოფილი ბამბეულის მიმდებარე ტერიტორია (საერთო მოცულობით დაახლოებით 3162.09 მ3).

**სატენდერო მოსაკრებელი**

ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობაა 300 ლარი.

გადახდა უნდა განხორციელდეს საბანკო გადარიცხვის სახით შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

მიმღები: შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო - SDC

მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 204933457

მიმღების ანგარიში: 1609906

მიმღების ბანკი: "თი-ბი-სი" ბანკის ცენტრალური ფილიალი

საბანკო კოდი: 220101830

დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი 7F-05031.03

**ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

(წარმოდგენილი უნდა იქნეს შევსებულ სატენდერო განაცხადთან ერთად)

- ზოგადი ინფორმაცია (კომპანიის საკვალიფიკაციო მონაცემები)
- ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში ფინანსური ბრუნვის შესახებ
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ
- ცნობა კომპანიის რეგისტრაციის შესახებ
- ცნობა სასამართლოდან, რომ კომპანიის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება და/ან მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან
- საგადასახადო ინსპექციაში კომპანიის რეგისტრაციის მოწმობა
- ცნობა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკუთრებაში არსებობის ან იჯარაში აღების, ასევე ფინანსური მდგომარეობის შესახებ, დადასტურებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის მიერ

**ვადები**

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია SDC-ის ოფისში მისამართზე: რადიანის ქ. 9, თბილისი 0179, საქართველო, 2009 წლის 14 აგვისტოს 17:00 სთ-მდე.

შევსებული სატენდერო განაცხადი დახურულ კონვერტში წარმოდგენილი უნდა იქნეს SDC-ის ოფისში მისამართზე: რადიანის ქ. 9, თბილისი 0179, საქართველო, 2009 წლის 21 აგვისტოს 17:00 სთ-მდე.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ეკა ჩიგოგიძეს ან ლელა მამრიკიშვილს, ტელ: (+995 32) 22 37 21 / 25 36 82/3.

# განცხადება

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ "ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე შენობების თუნუქის სახურავების შეკეთების II ეტაპის სამუშაოების" სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერის საფუძველზე 2009 წლის 14 ივლისს ხელშეკრულება გაფორმდა - შპს "ტექს ჯორჯია"-სთან.

ქ. თბილისის ძველი თბილისის

**რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია**

# განცხადება

შ.პ.ს. "თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი"-ს დამფუძნებელ პარტნიორთა 21.07.2009 წლის კრების გადაწყვეტილებით მიღებულია დადგენილება შ.პ.ს. "თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის" ლიკვიდაციის თაობაზე.

დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ დეპარტამენტის შემდეგ მისამართზე: ჭავჭავაძის გამზ. N3, მე-2 სართ. საკონტაქტო ტელ; 222392

# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

*5 აგვისტო 2009 წელი*

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2009 წლის 20 ივნისს, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობისათვის 1 (ერთი) ცალი ახალი ლიფტის (თანმდევი მომსახურეობით: დემონტაჟი-მონტაჟი, გაშვება, გაწყობა) შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში 2009 წლის 20 ივლისს გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "პნეუმასეიფ ლიფტი", რომელთანაც 2009 წლის 27 ივლისს გაფორმდა N 83 ხელშეკრულება 98 800 (ოთხმოცდათვრამეტი ათას რვაასი) ლარზე.

# განცხადება

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ "ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე წყალკანალიზაციის სისტემების კომპლექსური შეკეთების II ეტაპის სამუშაოების" სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერის საფუძველზე 2009 წლის 16 ივლისს ხელშეკრულება შპს "დავითი"-სთან.

***ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია***

# განცხადება

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლების კირნათისა და ახალშენის N2 საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის უზრუნველსაყოფად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი ორ ლოტად. (იხ.გაზეთი "24 საათი", 27 ივნისი, 2009 წელი)

N1 ლოტზე გამარჯვებულად გამოვლინდა შპს "ზუგომშენი", რომელთანაც 2009 წლის 28 ივლისს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N249;

N2 ლოტზე გამარჯვებულად გამოვლინდა შპს "ანდრომედა XXI", რომელთანაც 2009 წლის 28 ივლისს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N250.

***სატენდერო კომისია***

# გაზეთ "24 საათი"ს რედაქციას

ხონის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 10 ივლისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. ხონში ჭანტურიას ქ. N43-ში სახანძრო დაცვის შენობის მშენებლობის ტენდერში გაიმარჯვა ს/ს "სპეცმშენმა"

***სატენდერო კომისია***

# ც ვ ლ ი ლ ე ბ ა

## თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია აცხადებს

გაზეთ "24 საათი"-ს 2009 წლის 25 ივლისის N166 ნომერში თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის მიერ გამოქვეყნებული განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ იქნას გაუქმებული, კერძოდ:

აუქციონზე გამოტანილი იქნება ქ.რუსთავის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი კომერციული საქმიანობისათვის

| N | მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა | ფართობი | ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი | ფასი | "ბე" | ბიჯი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ.რუსთავი, ლეონიძის ქუჩის მ/ტ | 750 | 02 | 03 | 02 | 509 | 7245 | 2898 | 500 |

# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა აცხადებს საერთაშორისო ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების მიწოდების სახელმწიფო შესყიდვაზე 5 /ხუთი/ ლოტად /იხ. დანართი/ და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**ლოტი I** – პური

**ლოტი II** – ხილ-ბოსტნეული:

**ლოტი III** – რძის ნაწარმი

**ლოტი IV** – თევზეული-ხორცეული

**ლოტი V** – ბაკალეა

რაიონის ტერიტორიაზე არსებულ 38 სკოლამდელი დაწესებულების **9855** აღსაზრდელისათვის შესასყიდი კვების პროდუქტების სავარაუდო რაოდენობა და მიწოდების პერიოდულობა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის პაკეტით, ხოლო კონკრეტული რაოდენობა – შემსყიდველის მიერ დაზუსტდება მიმწოდებელზე ყოველთვიურად გადაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა **2009 წლის 01 სექტემბრიდან - 2009 წლის 31 დეკემბრამდე**

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება 1 დედანი და 2 ასლი (დალუქულ კონვერტში) და განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ ქართულ (უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობის შემთხვევაში ინგლისურ) ენაზე უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 25 აგვისტოს 11:00 საათიდან - 2009 წლის 25 აგვისტოს 16:00 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი №1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა, VI სართული, საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება.

უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს თან უნდა ახლდეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

**4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას*:**

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

- ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან);
- ცნობას იურიდიული პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს;
- საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის დამადასტურებელ საბუთს.
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ფიზიკური პირის გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან);
- ცნობას ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

**4.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:**

4.3.1. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არქონის შესახებ.

4.3.2 ინფორმაციას სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 /ორასი/ ლარის გადახდის შემდგომ სატენდერო დოკუმენტაცია მოთხოვნის შესაბამისად ქართულ ენაზე გაიცემა **2009 წლის 05 აგვისტოს 11:00 საათიდან - 2009 წლის 24 აგვისტოს 17:00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. №1, VI სართული, საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება.

7. **თანხა გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მიმღები – სახელმწიფო ხაზინა; სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიშის №200122900; ბანკის კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300773174;**

**დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი რაიონში მდებარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების მიწოდებაზე. გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.**

8. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული ცალკეული ლოტების მიხედვით..

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი 1%-ის ოდენობით საბანკო გარანტიის ფორმით, რომლის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

10. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების <u>4 %-ის ოდენობით</u>, საბანკო გარანტიის ფორმით.

11. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში. ასევე, დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნინო კიკვაძე – საკონტაქტო ტელეფონი: 65-25-13, მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი №1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.

12. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4-ე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება, გარდა 4.3 პუნქტის მოთხოვნებისა.

* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

**სატენდერო კომისია**

**დანართი**

**გლდანი-ნაძალადევის რაიონში მდებარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელებისათვის (38 ბაღი – 9 855 აღსაზრდელი) სავალდებულო მისაწოდებელი პროდუქტების მინიმალური რაოდენობა (62 დღეზე გაანგარიშებით)**

**<u>ლოტი 1 – პური</u>**

| № | მისაწოდებელი კვების პროდუქტის დასახელება | რაოდენობა /9855 აღსაზრდელზე/ | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკი /პერიოდულობა/ |
|---|---|---|---|---|
| 1 | პური - კგ | 82 965 | გლდანი-ნაძალადევის რ-ში მდებარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულენები | ყოველდღიურად ან ყოველ მეორე დღეს |

**<u>ლოტი 2 – ხილ-ბოსტნეული</u>**

| № | მისაწოდებელი კვების პროდუქტის დასახელება | რაოდენობა /9855 აღსაზრდელზე/ | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკი /პერიოდულობა/ |
|---|---|---|---|---|
| 1 | კარტოფილი – კგ | 48 180 | გლდანი-ნაძალადევის რ-ში მდებარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულენები | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 2 | კომბოსტო – კგ | 18 801 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 3 | სტაფილო – კგ | 6 933 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 4 | ჭარხალი – კგ | 3 995 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 5 | ხახვი - კგ | 7 755 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 6 | ნიორი - კგ | 881 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 7 | ლობიო –კგ | 7 080 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 8 | მშრალი ხილი –კგ | 82 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 9 | ხილი – კგ, ვაშლი | 6 581 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 10 | მწვანილი - კგ | 6 345 | — „ — | კვირაში მინიმუმ ერთჯერ |

**<u>ლოტი 3 – რძის ნაწარმი</u>**

| № | მისაწოდებელი კვების პროდუქტის დასახელება | რაოდენობა /9855 აღსაზრდელზე/ | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკი /პერიოდულობა/ |
|---|---|---|---|---|
| 1 | კარაქი – კგ | 5 406 | გლდანი-ნაძალადევის რ-ში მდებარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულენები | კვირაში მინიმუმ ერთჯერ |
| 2 | არაჟანი – კგ | 6 227 | — „ — | კვირაში მინიმუმ ერთჯერ |
| 3 | ხაჭო –კგ | 6 227 | — „ — | კვირაში მინიმუმ ერთჯერ |
| 4 | ყველი - კგ | 6 227 | — „ — | კვირაში მინიმუმ ერთჯერ |
| 5 | რძე -ლიტრი | 18 801 | — „ — | კვირაში მინიმუმ ერთჯერ |

<u>ლოტი 4 – თევზეული-ხორცეული</u>

| № | მისაწოდებელი კვების პროდუქტის დასახელება | რაოდენობა /9855 აღსაზრდელზე/ | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკი /პერიოდულობა/ |
|---|---|---|---|---|
| 1 | ხორცი საქონლის–კგ | 27 613 | გლდანი-ნაძალადევის რ-ში მდებარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულენები | კვირაში მინიმუმ ერთჯერ |
| 2 | ქათამი – კგ | 15 393 | — „ — | კვირაში მინიმუმ ერთჯერ |
| 3 | თევზი –კგ | 6 345 | — „ — | კვირაში მინიმუმ ერთჯერ |

<u>ლოტი 5 – ბაკალეა</u>

| № | მისაწოდებელი კვების პროდუქტის დასახელება | რაოდენობა /9855 აღსაზრდელზე/ | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკი /პერიოდულობა/ |
|---|---|---|---|---|
| 1 | შაქარი – კგ | 24 676 | გლდანი-ნაძალადევის რ-ში მდებარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულენები | თვეში მინიმუმ ერთჯერ |
| 2 | ზეთი – ლიტრი | 6 133 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 3 | მანი – კგ | 3 644 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 4 | წიწიბურა –კგ | 3 172 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 5 | ბრინჯი – კგ | 6 110 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 6 | ხმელი ბარდა – კგ | 1 245 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 7 | შვრია (ჰერკულესი)-კგ | 3 172 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 8 | ფქვილი ხორბლის უმ. ხარისხის – კგ | 11 984 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 9 | მაკარონი –კგ | 6 110 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 10 | ვერმიშელი – კგ | 6 110 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 11 | საფუარი – კგ | 129 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 12 | მარილი – კგ | 5 522 | — „ — | თვეში მინიმუმ ერთჯერ |
| 13 | ტომატი –კგ | 3 713 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 14 | ჯემი – კგ | 2 173 | — „ — | თვეში მინიმუმ ერთჯერ |
| 15 | ჩაი – კგ | 493 | — „ — | თვეში მინიმუმ ერთჯერ |
| 16 | კაკაო – კგ | 493 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 17 | კისელი-0.250გრ- ცალი | 3 172 | — „ — | თვეში მინიმუმ ერთჯერ |
| 18 | წვენი ხილის – ლიტრი | 18 565 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 19 | შედედებული რძე -ცალი | 9 870 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 20 | კვერცხი – ცალი | 18 4481 | — „ — | თვეში მინიმუმ სამჯერ |
| 21 | პეჩენია – კგ | 5 758 | — „ — | კვირაში მინიმუმ ერთჯერ |
| 22 | რძის ფხვნილი – კგ | 705 | — „ — | თვეში მინიმუმ ორჯერ |
| 23 | ხილის კამფეტი -კგ | 6 345 | | თვეში მინიმუმ ორჯერ |

# ტენდრში გამარჯვებული ორგანიზაციების შესახებ გაზეთ "24 საათში" გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია

(სახელმწიფო შესყიდვს შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)

სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ "გლობალური ფონდის" პროექტების - "საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის სფეროში მართვის სრულყოფის ღონისძიებების გატარება" (პროექტი NGEO-607-G05-T) - ფარგლებში ტუბერკულოზის სამკურნალო ანტიბიოტიკებისა და მკურნალობის დროს გვერდითი ეფექტების მართვისათვის საჭირო მედიკამენტების შესყიდვის მიზნით 2009 წლის 24 აპრილს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი ორგანიზაციები: შპს "პსპ-ფარმა" - ლოტი I; შპს "პსპ-რიხტერი" - ლოტი II.

(სახელმწიფო შესყიდვს შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)

სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ "გლობალური ფონდის" პროგრამების "აივ/შიდსის პრევერციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში" (პროგრამა: N-GEO-202-G01-H-00), "აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება" (პროგრამა: N-GEO-607-G06-H), "DOTS სტრატეგიის განხორციელების სრულყოფა საქართველოში" (პროგრამა: N-GEO-405-G03-T) ფარგლებში ცენტრის მიერ საწვავის ტალონური სისტემით მიწოდების მომსახურების შესყიდვის მიზნით 2009 წლის 8 მაისს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა ს.ს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია".

(სახელმწიფო შესყიდვს შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)

სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ "გლობალური ფონდის" პროექტების: "აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება" (პროექტი N-GEO-607-G06-H) ფარგლებში ავტომობილების შესყიდვის მიზნით 2009 წლის 8 მაისს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდნენ შემდეგი ორგანიზაციები: ლოტი I - შპს "აუტოკომი", ლოტი II - შპს "ივერია მოტორსი".

(სახელმწიფო შესყიდვს შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)

სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ ლოტად "გლობალური ფონდის" პროგრამის "აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში" (პროგრამა: N-202-01--00) ფარგლებში ანტირეტროვირუსული და ჩანაცვლებითი თერაპიის მედიკამენტების შესყიდვის მიზნით 2009 წლის 12 მაისს გამოცხადებულ ტენდრში გამარჯვებულად გამოვლინდნენ შემდეგი ორგანიზაციები: ს.ს "ჯი პი სი"- ლოტი N4, ლოტი N5, ლოტი N6, ლოტი N10, ლოტი N12, ლოტი N13, ლოტი N14, ლოტი N16, ლოტი N18, შ.პ.ს "ტიტანი" - ლოტი N1, ლოტი N7, ლოტი N9, ლოტი N11, ლოტი N15, შ.პ.ს "პსპ-რიხტერი" - ლოტი N3, ლოტი N8, ლოტი N17, შ.პ.ს "ეი-ბი-სი ფარმაცია" - ლოტი N2.

(სახელმწიფო შესყიდვს შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)

სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ "გლობალური ფონდის" პროგრამის "მიღწეული შედეგების კონსოლიდაცია: მალარიის ეპიდემიის თავიდან აცილება" ფარგლებში (გრანტი: NGEO-607-G04-M) ფარგლებში ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შესყიდვის მიზნით 2009 წლის 4 ივნისს (ცვლილება 18.06.09) გამოცხადებულ ტენდრში გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი ორგანიზაცია: სსიპ "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი"

(სახელმწიფო შესყიდვს შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)

სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცეტრის" მიერ "გლობალური ფონდის" პროგრამის "საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის სფეროში მართვის სრულყოფის ღონისძიებების გატარება" (გრანტი: NGEO-607-G05-T) ფარგლებში ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შესყიდვის მიზნით 2009 წლის 4 ივნისს (ცვლილება 18.06.09) გამოცხადებულ ტენდრში გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი ორგანიზაცია: სს "ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი".

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მისამართი: ქ. ქარელი, ნინოშვილის ქ.№3, აცხადებს აუქციონს მის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების რეალიზების თაობაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

**ლოტი 1.** არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დ. აგარაში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე, 200 კვ.მ. საწყისი ფასი 210 ლარი;

**ლოტი 2.** არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულის მიწის ნაკვეთი დ. აგარაში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე, 100 კვ.მ. საწყისი ფასი 105 ლარი.

ყველა ლოტზე ბიჯის მინიმალური ღირებულებაა 50 ლარი.

აუქციონი შედგება ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში, განცხადების გამოქვეყნების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, 12.00 საათზე.

მისამართი: ქ. ქარელი, ნინოშვილის ქ.№3, ქარელის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა.

# საქმე № 2/5017-08

## განჩინება

## საქართველოს სახელით

## საჯარო შეტყობინების შესახებ

31 ივლისი 2009 წელი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ელისო ტუკვაძე

**მოსარჩელე:** ციალა აჯიაშვილი
**მოპასუხე:** შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი"
**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2008 წლის 25 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის განცხადებით მომართა ციალა აჯიაშვილის წარმომადგენელმა. განცხადებით მოითხოვა მომავალი მოპასუხე შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი"-ს საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება. ხარვეზის შევსების შემდგომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 01 დეკემბრის განჩინებით ყადაღა დაედო შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი"-ს კუთვნილ უძრავ ქონებას, მდებარე ქ. თბილისში, ბარნოვის I ჩიხი №6-ში III სართულის დაშენების საერთო ფართობით 173.73 კვ.მ.

განჩინებით დადგენილ ათდღიან ვადაში 2008 წლის 12 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა ციალა აჯიაშვილის წარმომადგენელმა მოპასუხე შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი"-ს წინააღმდეგ. სარჩელით მოითხოვა მოპასუხის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით:

2008 წლის 16-17 ნოემბერს შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი"-მა განახორციელა რა ბარნოვის I ჩიხი №6-ში არსებული საკუთარი საცხოვრებელი ფართის დემონტაჟი, მოსარჩელის ნების საწინააღმდეგოდ დაანგრია ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი, მდებარე თბილისი, ბარნოვის I ჩიხი №6, I სართული, საერთო ფართით 174.09 კვ.მ. და II სართული, საერთო ფართით 157.49 კვ.მ. სარჩელს ერთვის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მითითებულ ფართზე მოსარჩელე ციალა აჯიაშვილის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ. აღნიშნულ უკანონო ქმედებას მოჰყვა სარჩელის უძრავი ქონების სრულად განადგურება.

მოსარჩელემ მიმართა მოპასუხე კომპანიას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მაგრამ მხარეთა შორის შეთანხმება ვერ შედგა. ვინაიდან შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი"-ს არ ჰქონდა უფლება დაენგრია მოსრჩელის კუთვნილი ქონება, აღნიშნული უკანონო ქმედებით მოხდა ციალა აჯიაშვილის საკუთრების უფლების შელახვა და მას მიადგა დიდი ოდენობით ზიანი.

სარჩელის თანახმად, ციალა აჯიაშვილმა მოითხოვა ზიანის ანაზღაურების სახით მოპასუხისათვის 397896 (სამასოთხმოცდაჩვიდმეტი ათას რვაას ოთხმოცდათექვსმეტი) აშშ დოლარის ექვივალენტის 656523.14 ლარის დაკისრება. ზიანის ოდენობის დასადასტურებლად სარჩელს ერთვის ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ბიუროს 2008 წლის 25 ნოემბრის დასკვნა.

ციალა აჯიაშვილის სარჩელი წარმოებაშია მიღებული 2008 წლის 30 დეკემბრის განჩინებით. ამავე განჩინებით შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი"-ს განესაზღვრა შესაგებლის წარმოსადგენად ვადა სარჩელისა და მასალების ჩაბარებიდან 14 დღე.

საქმის მომზადების მიზნით სარჩელი და თანდართული მასალები რამოდენიმეჯერ გაეგზავნა მოპასუხეს საქმის მასალებში დაფიქსირებულ მისამართებზე და ვერ ჩაბარდა სხვადასხვა მიზეზით. მოპაუხეს ვერ ჩაბარდა ასევე სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს 2008 წლის 01 დეკემბრის განჩინება. კერძოდ: სარჩელი და თანდართული მასალები, ასევე უზრუნველყოფის განჩინება შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი"-ს გაეგზავნა სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში მითითებულ მისამართზე - თბილისი, ჯანაშიას ქ. №28, ბინა №13, სადაც სასამართლო კურიერის მიერ შესრულებული აქტით ირკვევა, რომ ცხოვრობს თევზაძეების ოჯახი და შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი"-თან შეხება არ აქვთ. საქმის მასალები მოპასუხე ორგანიზაციას გაეგზავნა ასევე მოსარჩელისათვის ცნობილ მისამართზე - თბილისი, ჯანაშიას 2/5, სადაც ასევე ვერ ჩაბარდა. აქტით ირკვევა, რომ ამ მისამართზე მიმდინარეობს მშენებლობა და დოკუმენტების ჩაბარება ვერ მოხერხდა. საქმის მასალების გაგზავნა მოხდა ასევე სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე - თბილისი, ძმ. კაკაბაძეების ქ. №11-ში, სადაც გზავნილი და სარჩელის უზრუნველყოფის განჩინება ასევე ვერ ჩაბარდა მოპასუხე ორგანიზაციას, ვინაიდან არ მდებარეობს იქ.

აღნიშნულ მისამართებზე სარჩელისა და თანდართული მასალების, ასევე სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების ჩაბარება სასამართლოს 2009 წლის 04 ივნისის განჩინებით დაევალა საქართველოს შსს ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნოს სამსახურ. ჯანაშიას ქ. №28-ში მდებარე ბინა №13-ში გაგზავნილი მასალები დაბრუნდა მოპასუხეზე ჩაუბარებელი შემდეგი შინაარსის აქტით, რომ მეზობლის განმარტებით, ბინა ეკუთვნის თევზაძეების ოჯახს, რომლებსაც ბინა ქირავნობის საფუძველზე გადაცემული ჰქონდა კორეას რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის, უკვე ნახევარ წელიწადზე მეტია, რაც კორეას რესპუბლიკის მოქალაქეები აღარ ცხოვრობენ და ამდენად, შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი"-ს წარმომადგენლობას ვერ ჩაბარდა გზავნილი. აქტი შედგენილია 2009 წლის 13 ივნისს. რაც შეეხება ძმ. კაკაბაძეების ქ. №11-ში და ბარნოვის ქ. №2/5 ჩასაბარებელ დავალებას, პოლიციის უფროსი ლეიტენანტის 2009 წლის 11 ივნისის პასუხით ირკვევა, რომ განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ასევე სარჩელი და თანდართული მასალები ჩაბარდა შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი"-ს დირექტორს, ვინმე ნანა ესაკიას 2008 წლის 11 ივნისს. ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი"-ს დირექტორად მითითებული იყო ჩელ ჰო პარკი და არა ნანა ესაკია, საქმის მასალები მოპასუხისათვის ჩაბარებულად არ ჩაითვალა და 2009 წლის 13 ივლისის მასალებით ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიული ორგანოს საუბნო სამსახურს განმეორებით დაევალა უზრუნველყოფის შესახებ განჩინების, სარჩელისა და თანდართული მასალების შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი"-სათვის ჩაბარება.

ძველი თბილისის სამმართველოს 2009 წლის 27 ივლისს გამოგზავნილი აქტით ირკვევა, რომ თბილისში, ბარნოვის ქ. №2/5-ში არსებობს ინდ. მენაშენეთა ამხანაგობა "ბარნოვი 2", რომლის თავმჯდომარესაც წარმოადგენს ნანა ესაკია. მასთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი" აღნიშნულ მისამართზე აღარ ფუნქციონირებს და თავად დამფუძნებელი - ჩელ ჰო პარკი იმყოფება კორეაში.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლო თვლის, რომ მოპასუხე ორგანიზაციას უნდა ეცნობოს მოცემული საქმის წარმოების შესახებ შეტყობინების საჯაროდ გავრცელებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 201-ე, 232-ე პრიმა, 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ეცნობოს მოპასუხე შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი"-ს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ. №6) მოსარჩელე ციალა აჯიაშვილის მიერ აღძრულია სამოქალაქო საქმე, სადაც დასახელებულია მოპასუხედ. სარჩელის მიხედვით დავის საგანს წარმოადგენს შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი"-სათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება; მოპასუხეს ეცნობოს ასევე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 01 დეკემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა ციალა აჯიაშვილის განცხადება და სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი"-ს კუთვნილ უძრავ ქონებას, მდებარე ქ. თბილისში, ბარნოვის I ჩიხი №6-ში III სართულის დაშენებას, საერთო ფართით 173.73 კვ.მ.

2. მოპასუხე შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი"-ს პასუხის (შესაგებლის) წარმოსადგენად განესაზღვროს ვადა სარჩელის და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 14 (თოთხმეტი) დღე, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების გასაჩივრებისათვის განჩინების ასლი ჩაბარებიდან 5 დღე;

3. ეცნობოს მოპასუხე შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი"-ს, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში პასუხის (შესაგებლის) არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე ***გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ,*** ამასთანავე, მოსმართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს.

4. ეცნობოს მოპასუხე შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი"-ს, რომ ციალა აჯიაშვილის მიერ წარმოდგენილია სარჩელი და შემდეგი თანდართული დოკუმენტები: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრებით უფლების შესახებ (საკადასტრო კოდი №01.15.02.038.024, საკადასტრო გეგმის ასლი, ტექნიკური პასპორტი - საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობანაგებობის შიდა აზომვითი ნახაზის ასლი, ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 25 ნოემბრის დასკვნის ასლი და სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი. აღნიშნული დოკუმენტების გაცნობის შესაძლებლობა მოპასუხეს აქვს სასამართლოში;

5. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ "24 საათში";

6. განჩინების გამოქვეყნება გაზეთ "24 საათში" საკუთარი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელეს;

7. ***საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების პუბლიკაცია გაზეთ "24 საათში" უნდა განხორციელდეს 2009 წლის 14 აგვისტომდე***, რის შესახებაც ეცნობოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას "გაზეთ 24 საათის" შესაბამისი საგაზეთო ნომრის წარმოდგენით;

8. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება, ასევე სარჩელი და თანდართული მასალები შპს "კორეა ინვესთმენთ & დეველოპმენტი"-სათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;

9. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

*მოსამართლე: ნ. ტუკვაძე*

# შპს "ონის რაისაავადმყოფო" აცხადებს აუქციონს

**ავტომობილ უაზ-452-ზე პრივატიზების მიზნით.**

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:

| მისამართი | დასახელება | დანიშნულება | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) | "ბიჯი" (ლარი) | "ბე" (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| შპს "ონის რაისაავადმყოფო" | ა/მ უაზ-452 | სპეც. მანქანა პასპორტი არა აქვს (დაკარგული) | 500 აშშ | 50 | 50 |

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს ან ამ პირთა გაერთიანებას, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ დასახელებული საბოლოო გამოსასყიდი თანხა.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი ვალდებულია აუქციონის რეგისტრატორს წარმოუდგინოს:

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი.
2. "ბეს" გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
3. აუქციონში მონაწილეობის ბილეთის ფასის (5 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი.
5. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლებს (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ბოლო მდგომარეობით).
6. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

"აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალში" განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონი ჩატარდება ინფორმაციის გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებიდან 30-ე კალენდარულ დღეს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

აუქციონის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურს მისამართზე: ქ. ონი, დ. აღმაშენებლის მოედანი №1. საკონტაქტო პირი ლევან ბენდიანიშვილი. ტელ: 898 97 30 37.

*ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ (ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. №23, II კორპუსი, მე-5 სართული, ტელ: (995 32) 388210, (995 32) 388220; ტელ./ფაქს.: (995 32) 388210 (Ext: 119), E-mail: globalfund@caucasus.net) აცხადებს ტენდერს „გლობალური ფონდის“ „აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში“, „აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება“ და „მიღწეული შედეგების კონსოლიდაცია მალარიის ეპიდემიის თავიდან აცილება“ პროგრამების ფარგლებში („საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, „გლობალური ფონდის“ სამედიცინო პროგრამები განთავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან) პოლიგრაფიული ნაწარმის სასტამბო მომსახურებით შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს;

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები („გლობალური ფონდის“ პროგრამა: №-GEO-202-G01-H-00; GEO-607-G06-H; GEO-607-G04-M).

3. შესყიდვის ობიექტია:

| № | შესყიდვის ობიექტის დასახელება * | პოლიგრაფიული პროდუქციის ტიპი | პოლიგრაფიული პროდუქციის სახეობა | საერთო რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბროშურა | 3 | 4 | 3650 |
| 2 | ბუკლეტი | 1 | 2 | 5000 |
| 3 | ფლაერი | 2 | 12 | 19000 |
| 4 | ფორმა | 4 | 9 | 427000 |
| 5 | გაიდლაინი | 2 | 2 | 150 |
| 6 | ჟურნალი | 3 | 4 | 465 |
| 7 | პლაკატი | 1 | 2 | 1500 |
| 8 | სახელმძღვანელო | 6 | 7 | 2130 |
| 9 | ტრიპლეტი | 1 | 6 | 105500 |
| 10 | საინფორმაციო მასალები | 1 | 4 | 1500 |

4. პოლიგრაფიული ნაწარმის მიწოდების სასურველი ვადაა: ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შეკვეთის მიცემიდან 1 თვის განმავლობაში, (*შენიშვნა: მიწოდების ვადებთან და ტექნიკურ პარამეტრებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ადგილზე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას).

5. პოლიგრაფიული ნაწარმის მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე.

6. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე 3 (სამი) ეგზემპლარად (1 ორიგინალი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 26 აგვისტოს 10:00 სთ.-იდან 2009 წლის 26 აგვისტოს 17:00სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. №23, II კორპუსი, მე-5 სართული. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება აღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 26 აგვისტოს 17:00 სთ.-ზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრნენ სატენდერო წინადადების გახსნას);

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
6.1. იურიდიული პირისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან საწარმოს რეგისტრაციის შესახებ (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
6.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
ბ) ცნობა შსს-დან, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
გ) ცნობა სასამართლოდან ან იუსტიციის სამინისტროდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
6.3. იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:
ა) იურიდიული და ფიზიკური პირის რეკვიზიტები (იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი);
ბ) სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (არარეზიდენტი პირს უნდა ჰყავდეს სათანადო უფლებამოსილების მქონე ადგილობრივი წარმომადგენელი, საჭიროების შემთხვევაში);
გ) ინფორმაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

7. პრეტენდენტის მიერ მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება;

8. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ტენდერის შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად;

9. პრეტენდენტების მიერ მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 3 (სამ) ეგზემპლარად (მ.შ. ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და 2 (ორი) ასლი); ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის სახით;

10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე მსურველ პირებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (საბანკო ანგარიშზე: მიმღები სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 211327580), „საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი“ (ბანკის კოდი: 220101502, ანგარიშწორების ანგარიში ლარებში: 005606074 (ან/და 3608981020527204003); დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი);

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 25 აგვისტოს 18:00 სთ.-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. №23, II კორპუსი, მე-5 სართული;

12. ტენდერში გამოყენებულ იქნება სატენდერო წინადადებისა - 1%-იანი და ხელშეკრულების შესრულების - 3%-იანი უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია /დაზღვევა);

13. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება;

14. ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა;

15. ტენდერში ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება;

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან, სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: სანდრო კვაჭანტირაძე და ხათუნა კაპანაძე, სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ (მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. №23 II კორპუსი, მე-5 სართული. ტელ: (995 32) 388210, (995 32) 388220; ტელ./ფაქს.: (995 32) 388210 (Ext: 119), E-mail: globalfund@caucasus.net).

## განცხადება

შპს ჩოგბურთის კლუბი "ბათუმი''ს გაკოტრების მმართველი გაცნობებთ, რომ 2009 წლის 10 აგვისტოს 17:00 საათზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს შენობაში გაიმართება შპს ჩოგბურთის კლუბი "ბათუმი''-ს კრედიტორთა კრებას (გაკოტრების მოსამართლე გოჩა ფუტკარაძე), დღის წესრიგით;

1. გაკოტრების მმართველის მიერ შედგენილი მოვალის გაკოტრების ანგარიშის განხილვა;
2. შპს ჩოგბურთის კლუბი "ბათუმი''-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

## განცხადება

მ/წლის 3 ივნისს ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაზეთ "24 საათში" გამოცხადებულ ტენდერში "ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები 7 ლოტად", გამარჯვებულად გამოვლინდა კოოპ. საწარმო ქარელის "სოფლმშენკომპლექსი", რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება 08.07.2009 წ.

*ქარელის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია*

## განცხადება

მ/წლის 30 მაისს ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაზეთ "24 საათში" გამოცხადებულ ტენდერში - "ქარელის მუნიციპალიტეტში ვარძელაშვილის ქუჩის კოლექტორის, რუსთაველის ქუჩის კოლექტორის, წერეთლის ქუჩის კოლექტორის, ჭავჭავაძის ქუჩის კოლექტორის (სტალინის ქუჩიდან ხიდამდე), სტალინის ქუჩის კოლექტორის, ყაზბეგის ქუჩის კოლექტორის, ჭავჭავაძის ქუჩის (ყაზბეგის ქუჩამდე) კოლექტორის, ცაბაძის ქუჩის კოლექტორის, კოლექტორის ჭა №490-დან (ცაბაძის ქუჩა), საპროექტო კანალიზაციის სატუმბო სადგურამდე მონტაჟის შესყიდვა" გამარჯვებულად გამოვლინდა შპს "მ.ჯ & კომპანია", რომელთანაც 21 ივლისს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

*ქარელის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია*

## საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) განმეორებით აცხადებს ღია აუქციონს

სს „ოდიში“-ს ს/ნ 239860931 (მდებარე: სენაკი რ-ნი, სოფ. ნოსირი) დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით. სარეალიზაციოდ გამოტანილ იქნება სს „ოდიში“-ს შემდეგი დასახელების ქონება:

| № | საგნების დასახელება და აღწერა (განმასხვავებელი ნიშნები, ცვეთა და სხვა). | ზომის ერთეული (ზომა, წონა, მეტრაჟი და სხვა): | თითოეული საგნის შეფასება ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | | | ერთეულის ფასი | საბაზრო ღირებულება |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | შენობა ორსართულიანი მიშენების ჩათვლით (სენაკის რ-ნი, სოფ. ნოსირი) | | | 18500 |
| 2 | საოპერატორო (სენაკის რ-ნი, სოფ. ნოსირი) | | | 1200 |
| 3 | საგუშაგო ჯიხური | | | 350 |
| 4 | საპირფარეშო (სენაკის რ-ნი, სოფ. ნოსირი) | | | 150 |
| 5 | სახანძრო (სენაკის რ-ნი, სოფ. ნოსირი) | | | 2000 |
| 6 | ელ.ქვესადგური (სენაკის რ-ნი, სოფ. ნოსირი) | | | 1500 |
| 7 | საქვაბე (სენაკის რ-ნი, სოფ. ნოსირი) | | | 1500 |
| 8 | თეთრი პროდუქტის სანასოსე შენობა (სენაკის რ-ნი, სოფ. ნოსირი) | | | 4650 |
| 9 | შავი პროდუქტის სანასოსე შენობა (სენაკის რ-ნი, სოფ. ნოსირი) | | | 3200 |
| 10 | ესტაკადები-დასაცლელი | | | 1500 |
| 11 | ნავთობგამტარი ქსელი | 1 გრძ.მ | 20 | |
| 12 | წყლის კოშკი | 1ც | | 800 |
| 13 | რეზერვუარი 25 მ$^3$ | 1ც | | 400 |
| 14 | რეზერვუარი 5 მ$^3$ | 2ც | 150 | 300 |
| 15 | რეზერვუარი 1000 მ$^3$ | 11ც | 5000 | 55000 |
| 16 | რეზერვუარი 2000 მ$^3$ | 2ც | 7000 | 14000 |
| 17 | რეზერვუარი 100 მ$^3$ | 16ც | 1500 | 24000 |
| 18 | რეზერვუარი 50 მ$^3$ | 2ც | 300 | 600 |
| 19 | ზეთის გას. რეზერუარი | 4ც | 150 | 600 |
| 20 | სახანძრო წყლის ავზი | 1ც | | 800 |
| 21 | წყლის ავზი | 1ც | | 1000 |
| 22 | ელ. განათების კოშკი | 2ც | 150 | 300 |
| 23 | რკინიგზის ჩიხი | 1 გრძ.მ | 550 | |
| 24 | ბეტონის ღობე | 516 გრძ.მ | | 17200 |
| 25 | გასაცემი ესტაკადები | 1ც | | 8000 |
| 26 | ელ გადამცემი ხაზი | 1 გრძ.მ | 12 | |
| 27 | დიზელ-გენერატორი 75 კვტ | 1ც | | 3500 |
| 28 | ტრანსფორმატორი 400 კვტ | 1ც | | 15000 |
| 29 | მიწის ფართი (სოფ ნოსირი) | 44350 კვმ | | 443500 |
| | სულ ჯამი | | | 619550 |

ქონების საერთო ღირებულება: 619550 (ექვსასცხრამეტი ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარი

ქონების ადგილმდებარეობის ფაქტიური მისამართია: სენაკი რ-ნი, სოფ. ნოსირი

აუქციონი გაიმართება 2009 წლის 20 აგვისტოს 14 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №111, ფოთის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სენაკის ოფისის შენობაში.

აუქციონზე ქონების შეძენის მსურველებმა აუქციონის ჩატარებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე უნდა შეიტანონ შესაძენი ქონების ღირებულების 2% (მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ცენტრალიზებული ანგარიშის ნომერი 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი 302006000). მესამე პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე უფლება აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილ ქონებაზე, შეუძლიათ მიმართონ ფოთის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) აუქციონის ჩატარებამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7. ტელ.: 8(22)26-18-19; 8(22)26-18-21.

# საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ტენდერს

ს/ც "კრწანისი"-ს ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების **შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

**შესყიდვის ობიექტი-** ს/ც "კრწანისი"-ს ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოები

**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

1. ლოტი N1 ს/ც "კრწანისი"-ს ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოები (გარდაბნის რაიონი, სოფ. კრწანისი);
2. სარემონტო სამუშაოები, უნდა დასრულდეს 2009 წელს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 3 თვის განმავლობაში;
3. ტენდერში მონაწილემ შემოთავაზებულ ხარჯთაღრიცხვაში (სატენდერო წინადადების ღირებულებაში) უნდა გათვალისწინოს ყველა ხარჯი, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი;
4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2009 წლის 5 აგვისტოდან 25 აგვისტოს 12.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N322. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე;
5. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო სახელმწიფო ხაზინა

ანგ. N 200122900

ბანკის კოდი: 220101222

სახაზინო კოდი: 302006500

6. გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ს/ც "კრწანისი"-ს ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი;
7. პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე დედნის სახით (არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა ქართულ ენაზე ნოტარიალურად დამოწმებული ასლები) უნდა წარმოადგინონ ერთ დალუქულ კონვერტში 2009 წლის 25 აგვისტოს 12 საათიდან 27 აგვისტოს 12:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N322. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით, ზემოთაღნიშნულ მისამართზე, 2009 წლის 27 აგვისტოს 12:00 საათზე;
8. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**8.1 იურიდიულ პირთათვის:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
- ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**8.2. ფიზიკურ პირთათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
- ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
- ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**8.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან (წერილობითი დადასტურება), რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ბოლო ორი წლის განმავლობაში არ არის არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტების და მიმწოდებლების რეესტრში.
- ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ.
- ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში.
- ინფორმაცია სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ.

9. პრეტენდენტებმა, სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში), ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების (ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები) შესაბამისად;
10. ***შენიშვნა:*** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით;
11. განცხადებაში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან არაუმეტეს სატენდერო წინადადების მიღების დასრულების თარიღამდე;
12. პრეტენდენტების მიერ განცხადების შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, საკვალიფიკაციო შერჩევის დროს, შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება;
13. თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს, ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე;
14. **სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, იურიდიულ და საფოსტო მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს, საიდენტიფიკაციო კოდი;**
15. დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს;
16. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული;
17. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება, ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება;
18. ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაზე მინიმუმ 30 კალენდარული დღით მეტი;
19. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა **15 დღით უნდა აჭარბებდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას;**
20. **სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე** პრეტენდენტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, ქვემოთ მითითებულ მისამართზე;
21. შემსყიდველი ორგანიზაციის რეკვიზიტები: 0112, ქ.თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. N20, სკ. 204900483. საბანკო რეკვიზიტები: ანგ. N200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222;
22. დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: გაიოზ მენთეშაშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N322.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 17 ლოტად დაყოფილ საერთაშორისო ტენდერს უნი ფორმისა და აქსესურების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, მიუთითონ საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სატენდერო მოსაკრებელი, კონკრეტული შესყიდვის დასახელებით და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე, ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., ოთახი 311 (შესყიდვების ორგანიზების ქ/განყოფილება), რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დუკუმენტაციის გატანა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 10:00 – 18:00 საათამდე ყოველ დღე 2009 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით, უქმი დღეების გარდა.

2. მისაწოდებელი საქონლის ჩამონათვალი:

| ლოტი № | შესყიდვის ობიექტი | განზ-ების ერთეული | რაოდენობა ან მოცულობა | მიწოდების გრაფიკული ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | ქამარი | ცალი | 4500 | 2009 წლის 30 ოქტომბრამდე |
| 2 | წოდების აღმნიშვნელი სამკლავე ნიშანი | ცალი | 10000 | 2009 წლის 30 ოქტომბრამდე |
| 3 | პერანგი მოკლე მკლავით თეთრი | ცალი | 3000 | 2009 წლის 30 სექტემბრამდე |
| 4 | სამკერდე ნიშანი | ცალი | 3500 | 2009 წლის 30 ოქტომბრამდე |
| 5 | იარაღის ჩასადები შალითა | ცალი | 3500 | 2009 წლის 30 ოქტომბრამდე |
| 6 | მჭიდის ჩასადები შალითა | ცალი | 3500 | 2009 წლის 30 ოქტომბრამდე |
| 7 | ხებორკილი | ცალი | 3500 | 2009 წლის 30 ოქტომბრამდე |
| 8 | პერანგი გრძელი მკლავით ლურჯი | ცალი | 15000 | 2009 წლის 30 სექტემბრამდე |
| 9 | პერანგი გრძელი მკლავით თეთრი | ცალი | 3000 | 2009 წლის 30 სექტემბრამდე |
| 10 | შარვალი ზამთრის | ცალი | 4500 | 2009 წლის 30 სექტემბრამდე |
| 11 | შარვალი დათბუნული | ცალი | 2000 | 2009 წლის 30 სექტემბრამდე |
| 12 | ქურთუკი თბილი | ცალი | 2000 | 2009 წლის 30 სექტემბრამდე |
| 13 | ქურთუკი თბილი გრძელი | ცალი | 2000 | 2009 წლის 30 სექტემბრამდე |
| 14 | პულოვერი | ცალი | 3500 | 2009 წლის 30 სექტემბრამდე |
| 15 | ქამარი აღჭურვილობის | ცალი | 1000 | 2009 წლის 30 ოქტომბრამდე |
| 16 | ფეხსაცმელი მაღალყელიანი | წყ. | 2100 | 2009 წლის 30 სექტემბრამდე |
| 17 | ქურთუკი საშემოდგომო | ცალი | 4500 | 2009 წლის 30 სექტემბრამდე |

3. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი 38-ე კმ..

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად ერთი დალუქული კონვერტით (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 25 აგვისტოს 15:00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი კახეთის გზატკეცილი 38-ე კმ. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი. საკვალიფიკაციო მონაცემის კონვერტების გახსნა განხორციედება 2009 წლის 25 აგვისტოს 15:00 საათზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

• **იურიდიული პირებისთვის:**

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ; (მოქმედების ვადა არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა)

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (მოქმედების ვადა არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა)

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ. (მოქმედების ვადა არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა)

დ) ცნობა სასამართლოდან, მასზედ რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

(მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა)

• **ფიზიკური პირებისთვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება. (მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა)

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ. (მოქმედების ვადა არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა)

გ) ცნობა მისი ქმედუნარიანობის შესახებ (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან)

• **როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის:**

ა) სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

ბ) საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად სავალდებულოა წარმოდგენილ იქნეს შემოთავაზებული სქონლის ნიმუშები

**შენიშვნა:** ზემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება

6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.

8. სავალდებულოა წარმოდგენილი იქნას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით.

9. პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

10. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.

1. პრეტენდენტებს შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდეც, ზემოთ მითითებულ მისამართზე.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი მაღლაკელიძე, ტელ: 41 87 13.

***სატენდერო კომისია***

# საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) განმეორებით აცხადებს ღია აუქციონს

სს „ვაზი“-ს ს/ნ 239862396 (მდებარე: სენაკი რ-ნი, გამარჯვების ქ. №21) დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით. სარეალიზაციოდ გამოტანილ იქნება სს „ვაზი“-ს შემდეგი დასახელების ქონება:

| № | საგნების დასახელება და აღწერა (განმასხვავებელი ნიშნები, ცვეთა და სხვა). | ზომის ერთეული (ზომა, წონა, მეტრაჟი და სხვა): | თითოეული საგნის შეფასება ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | | | ერთეულის ფასი | საბაზრო ღირებულება |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | ადმინისტრაციული შენობა | 44,50მX9მ | | 20000 |
| 2 | ღვინის სარდაფი | 570.3 კვმ | | 3000 |
| 3 | სპირტსახდელი | 487.7 კვმ | | 24000 |
| 4 | საქვაბე მეურნეობა | 11მX3.9მ | | 700 |
| 5 | საქვაბე მეურნეობა | 7მX12.30მ | | 1200 |
| 6 | საპირფარეშო | 3მX3მ | | 200 |
| 7 | სახანძრო ავზი | 1ც | | 150 |
| 8 | სასწორი | 1ც | | 800 |
| 9 | ღვინის საცავი | 9მX10მ | | 400 |
| 10 | სპირტსაცავის I განყოფილების შენობა | 30მX23მ | | 5000 |
| 11 | სპირტსაცავის II განყოფილების შენობა | 12.50მX23მ | | 500 |
| 12 | დამხმარე ნაგებობა | 30,5მX7მ | | 2000 |
| 13 | საყარაულო ჯიხური | 5.30მX6.90მ | | 700 |
| 14 | რკინის ჭიშკარი | 1ც | | 300 |
| 15 | ღობე ეზოს ირვგლივ | | | 3500 |
| 16 | რკინა-ბეტონის ბუტები | | | 3000 |
| 17 | სატვირთო ავტომობილის ნახევარ მისაბმელი „ოდაზ-885“ | 1987 | | 1200 |
| 18 | სატვირთო ავტომობილი „კაზ-608“ უნაგირა საწევარი | 1987 | | 3300 |
| | სულ ჯამი | | | 69950 |

ქონების საერთო ღირებულება: 69950 (სამოცდა ცხრაათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარი

ქონების ადგილმდებარეობის ფაქტიური მისამართია: სენაკი რ-ნი, გამარჯვების ქ. №21

აუქციონი გაიმართება 2009 წლის 20 აგვისტოს 11 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №111, ფოთის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სენაკის ოფისის შენობაში.

აუქციონზე ქონების შეძენის მსურველებმა აუქციონის ჩატარებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე უნდა შეიტანონ შესაძენი ქონების ღირებულების 2% (მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ცენტრალიზებული ანგარიშის ნომერი 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი 302006000). მესამე პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე უფლება აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილ ქონებაზე, შეუძლიათ მიმართონ ფოთის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) აუქციონის ჩატარებამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7. ტელ.: 8(22)26-18-19; 8(22)26-18-21.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №10 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ატარებს ღია განმეორებით აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება **შპს „ინტერნეიშენელ ბილდინგ კომპანი"-ს (სნ 205051290)** კუთვნილი, ქ. თბილისში დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-20კმ-ზე, ავჭალაში სარაჯიშვილის ქ. №102-ში, ქ. გორისა და ქსნის ტერიტორიაზე და ორხევის ბაზაში განთავსებული ქონება, კერძოდ:

1. უძრავ – მოძრავი ქონება

| № | დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | პერის კოჭი | 2.45მ | 218 | 40 | 8720 |
| 2 | პერის კოჭი | 2.9მ | 153 | 46 | 7038 |
| 3 | პერის კოჭი | 3.3მ | 166 | 50 | 8300 |
| 4 | პერის კოჭი | 3.6მ | 23 | 53 | 1219 |
| 5 | პერის კოჭი | 3.9მ | 217 | 56 | 12152 |
| 6 | ლურჯი დგარი 3მ-იანი | ცალი | 1260 | 20 | 25200 |
| 7 | დგარების სამაგრი სამკაპი | ცალი | 30 | 10 | 300 |
| 8 | გვირგვინი | ცალი | 110 | 3 | 330 |
| 9 | შტირები | ცალი | 350 | 8 | 2800 |
| 10 | რკინის ხარაჩო | კვ.მ | 12.5 | 50 | 625 |
| 11 | ლამინატი 718კვ.მ | ცალი | 230 | 50 | 11500 |
| 12 | გენერატორი | ცალი | 1 | 45000 | 45000 |
| 13 | კოშკური ამწე | ცალი | 1 | 250000 | 250000 |
| 14 | პროცესორი | ცალი | 11 | 200 | 2200 |
| 15 | პრინტერი | ცალი | 1 | 80 | 80 |
| 16 | იუპიესი | ცალი | 6 | 80 | 480 |
| 17 | მონიტორი | ცალი | 9 | 20 | 180 |
| 18 | მონიტორი (პლაზმური) | ცალი | 1 | 120 | 120 |
| 19 | კლავიატურა | ცალი | 13 | 5 | 65 |
| 20 | ფაქსი | ცალი | 1 | 120 | 120 |
| 21 | ტელეფონი | ცალი | 5 | 10 | 50 |
| 22 | საოფისე-სასადილო ავეჯი და ინვენტარი | ცალი | | | 12475 |
| | **ჯამი** | | | | **388 954** |

2. ავტოსატრანსპორტო საშუალებები

| № | დასახელება | რაოდენობა | გამოშვების წელი | სახელმწიფო № | ერთეულის ღირებულება (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფოლკსვაგენ პასატი | 1 | 2001 | GSG-518 | 12 000 | 12 000 |
| 2 | ფორდ მავერიკი | 1 | 1993 | WYW-296 | 8 500 | 8 500 |
| 3 | ოპელ ასტრა | 1 | 1994 | MMA-606 | 3 500 | 3 500 |
| 4 | ოპელ ვექტრა | 1 | 1995 | GIC-552 | 4 000 | 4 000 |
| 5 | ფოლკსვაგენ ვენტო | 1 | 1994 | MAX-381 | 4 500 | 4 500 |
| 6 | ფორდ ტრანზიტი | 1 | 1995 | MAX-616 | 7 000 | 7 000 |
| 7 | ფოლკსვაგენ ვენტო | 1 | 1995 | SPD-097 | 3 500 | 3 500 |
| 8 | მერსედეს ბენცი 300d | 1 | 1993 | ABQ-639 | 5 000 | 5 000 |
| 9 | მიცუბიში პაჯერო | 1 | 1995 | TQT-906 | 12 000 | 12 000 |
| 10 | ნახევარმისაბმელი თვითმცლელი | 1 | 2003 | AG-225 | 10 000 | 10 000 |
| 11 | ნახევარმისაბმელი "GUVEN" | 1 | 2005 | AG-226 | 28 000 | 28 000 |
| 12 | მერსედეს ბენც 1835 | 1 | 2004 | BOS-235 | 41 250 | 41 250 |
| 13 | ბობკატი ორკაპით | 1 | 2006 | FA-789 | 99 000 | 99 000 |
| 14 | მერსედეს ბენც 3028 | 1 | 2006 | GEG-469 | 90 750 | 90 750 |
| 15 | მერსედეს ბენც 307დ | 1 | 1998 | GSG-661 | 3 000 | 3 000 |
| 16 | პეჟო 406 | 1 | 2000 | HHH-848 | 5 000 | 5 000 |
| 17 | მერსედეს ბენც 1835 | 1 | 2006 | MAL-237 | 41 250 | 41 250 |
| 18 | მერსედეს ბენც 3028 | 1 | 2006 | NBA-203 | 90 750 | 90 750 |
| 19 | ნახევარმისაბმელი თვითმცლელი "ეკოლ" | 1 | 2006 | PA-764 | 35 000 | 35 000 |
| 20 | ნახევარმისაბმელი პლატფორმა | 1 | 2006 | PA-765 | 30 000 | 30 000 |
| 21 | ფორდ ტრანზიტი | 1 | 1994 | PSP-178 | 8 000 | 8 000 |
| 22 | ოპელ ვექტრა | 1 | 1992 | QQO-086 | 3 500 | 3 500 |
| 23 | გაზ 53-12 | 1 | 1986 | SBS-036 | 4 000 | 4 000 |
| 24 | ელიფსური ცისტერნა "მაზი" | 1 | 1986 | SBS-037 | 9 800 | 9 800 |
| 25 | მერსედეს ბენც 3028 | 1 | 2005 | VBB-493 | 90 750 | 90 750 |
| 26 | მერსედეს ბენც 3028 | 1 | 2005 | VBB-495 | 57 750 | 57 750 |
| 27 | მერსედეს ბენც 3028 | 1 | 2005 | VBB-496 | 57 750 | 57 750 |
| 28 | პუტზმეისტერ მ 36 რ "მერსედეს ბენც 3028 | 1 | 2005 | WXW-941 | 247 500 | 247 500 |
| 29 | ბობკატი ჩამტვირთველი S-250 | 1 | 2006 | CA-791 | 38 000 | 38 000 |
| 30 | მერსედეს ბენც 508D | 1 | 1994 | DAN-065 | 14 000 | 14 000 |
| 31 | ფორდ ტრანზიტი | 1 | 1995 | DUD-387 | 9 000 | 9 000 |
| 32 | ზილ-130 | 1 | 1984 | EEO-826 | 1 000 | 1 000 |
| 33 | მუხლუხა ექსკავატორი "კამაცუ"PS-200 | 1 | 2005 | | 120 000 | 100 000 |
| 34 | მინი ექსკავატორი | 1 | 2005 | AG-3927 | 60 000 | 60 000 |
| | **ჯამი** | | | | | **1 255 050** |
| | **სულ ჯამი** | | | | | **1 644 004** |

(შეფასებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ).

***აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 18 აგვისტოს დღის 12 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ბაღდადის ქ№8, თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში.***

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების **2%,** რომლის შეძენასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქ. თბილისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოსატან ქონებას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მსურველები 2009 წლის 18 აგვისტომდე დაგვიკავშირდნენ ქ. თბილისის რეგიონალურ ცენტრში (საგადასახადო ინსპექცია) ტელეფონზე 26-17-62.

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე**
**მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**
მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, თბილისი, თენგიზ აბულაძის 20, (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**